პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 45-ე წელი. № 259 (13055) | კვირა, 11 ოქტომბერი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

# საოქტომბრო ვახტზე

## უპატაკებენ სამშობლოს

**მცხეთის** საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა გ. კავთიაშვილმა და საწარმოო სამმართველოს უფროსმა დ. მაღალაშვილმა „კომუნისტის" რედაქციას აცნობეს, რომ მცხეთელმა მშრომელებმა 30 სექტემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის ცხრა თვის გეგმა. ხორცის მიყიდვის გეგმა განაღდებულია 117,9 პროცენტით, რძისა — 102,6, კვერცხისა — 119,2, მატყლისა — 102,7, მსხვილი ტყავისა — 101,2, წვრილი ტყავისა — 101,1, ღორის ტყავისა — 115,2, ქურქეულისა — 221,9, ნაწლავ-ნედლეულისა — 138,3 ბუმბულისა — 104,4 პროცენტით, ხოლო აბრეშუმის პარკის მიყიდვის წლიური გეგმა 101,4 პროცენტით.

**გურჯაანის** საწარმოო სამმართველოს უფროსი ამხ. მ. მაჭაშვილი „კომუნისტის" რედაქციას აცნობებს, რომ გურჯაანელმა მშრომელებმა, რომლებიც ჩაბმული არიან საოქტომბრო შეჯიბრებაში, 30 სექტემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის ცხრა თვის გეგმა. ხორცის მიყიდვის გეგმა შესრულებულია 100,6 პროცენტით, კვერცხისა — 100,1, მატყლისა — 102,7, ბოსტნეულისა — 151, ხოლო აბრეშუმის პარკის მიყიდვის წლიური გეგმა — 119 პროცენტით.

ამჟამად კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში წარმატებით მიმდინარეობს საშემოდგომო თავთავიანი მარცვლეული კულტურების თესვა და მზრალად ხვნა.




# ძმობის ტრიუმფი

[illegible]

...ზე, გმირულ შრომაზე, სიკეთის გამარჯვებაზე, საყოველთაო მშვიდობაზე, ახალი ცხოვრების მშენებელ ადამიანთა ნათელ მომავალზე — კომუნიზმზე.

დიდი ხანია ძმობის დუღაბით გულშედუღებული არიან ერთმანეთთან ქართველი და უკრაინელი ხალხები. ჯერ კიდევ ცარიზმის ბატონობის სუსხიან წლებში ჩაეყარა ამ მეგობრობას მყარი საფუძველი.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამ იხსნა ასეულ მილიონობით ბედკრული. დაიმსხვრა შავი ჯალათის იმპერია, და საკუთარი სვე-ბედის მბრძანებელნი გახდნენ ლენინის სიბრძნით გაცისკროვნებული ერები. ამ გმირული ბრძოლის შედეგია თავისუფალ ხალხთა ძმობის სამშობლო — მძლავრი საბჭოთა კავშირი.

უმაგალითოდ აყვავდა ამ კავშირში შემავალი ყველა რესპუბლიკა. ეს იცის მთელმა მსოფლიომ. ამას გრძნობს საბჭოთა ადამიანების მიერ დაპყრობილი კოსმოსური სამყაროც, სადაც უშიშრად დანავარდობენ ჩვენი სამშობლოს ლეგენდარული გმირები.

სწორედ ეს ზღაპრული მიღწევები ამღერებენ ერთნაირი სულისკვეთებით რუსს, უკრაინელს, ბელორუსს, ტაჯიკს, უზბეკს, ქართველს, სომეხს, აზერბაიჯანელს და ყველა საბჭოთა ხალხის შვილებს კომუნიზმის მშენებელთა დღემშიან სამშობლოში.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა, ინტელიგენციამ, მოსწავლე ახალგაზრდობამ უღრესად გულთბილად მიიღეს ჩვენი ძვირფასი სტუმრები — უკრაინული მწერლობის დეკადის მონაწილენი. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ყველა მათგანს მიენიჭა ჯილდო — საპატიო სიგელი, ხოლო პოეტ-აკადემიკოს მიკოლა ბაჟანს, რომელსაც ამ სამი დღის წინათ შეუსრულდა დაბადების 60 წელი, მიენიჭა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

უკრაინელი მწერლებისათვის მინიჭებული ყველა ეს ჯილდო მთელი ქართველი ხალხის, საქართველოს ყველა მშრომელის უსაზღვრო სიყვარულის გამოხატულებაა. კეთილი იყოს, ოქტომბრის გამარჯვებით ამღერებული საყვარელი მეგობრებო, ჩვენი რესპუბლიკის მთავრობის ეს წინაოქტომბრო საჩუქარი — თქვენი ამაგის მაღალი დაფასება.

დეკადა მთავრდება. ძმობა და მეგობრობა მარად და მარად გრძელდება. გისურვებთ ახალ შემოქმედებითს წინსვლას, უკრაინელო ძმებო!

# მისალმება მოლდაველ და ტუველ ხალხს

[illegible]

...წარმატებებს მიაღწია სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ ტუვის მშრომელები კვლავაც აქტიურად იბრძოლებენ რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის, ჩვენი დიადი მრავალეროვანი სამშობლოს ყველა ხალხთან ერთად ღირსეულ წვლილს შეიტანენ კომუნისტური...

[illegible]

...ლუციის გამარჯვებამ, ნათქვამია მისალმებაში, ტუველ ხალხს დაუსახა ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების შესაძლებლობანი. საბჭოთა ხალხის დახმარებითა და მხარდაჭერით ტუველი ხალხი მტკიცე რწმენით დაადგა სოციალურ-ეკონომიურ გარდაქმნათა გზას, მტკიცედ დაუკავშირა თავისი ბედი მსოფლიოს პირველ სოციალისტურ სახელმწიფოს.

როგორც აღნიშნულია მისალმებაში, უდიდესი ისტორიული მოვლენა იყო ტუველი ხალხის ცხოვრებაში, რომელმაც გამოხატა მთელი მშრომელი მასების ნება და სანუკვარი სურვილები, ტუვის სახალხო რესპუბლიკის ნებაყოფლობით შესვლა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. ამ აქტით გამოვლინდა ტუველი ხალხისა და საბჭოთა ხალხის ნამდვილი ინტერნაციონალური, ძმური ურთიერთობა. ჩვენი ქვეყნის მოძმე ხალხთა ერთსულოვან ოჯახში ტუვის ასს რესპუბლიკამ დიდ […] ვის მეთაურობით. (საკდესი).

## ზეიმობს მოლდავეთი

კიშინიოვი, 10 ოქტომბერი. (საკდესი). დიდი ზეიმია მოლდავეთში — რესპუბლიკისა და მისი კომუნისტური პარტიის 40 წლისთავის დღესასწაული. ორმოცი წელი შემოქმედებითი ძალების გაფურჩქვნის, შემართებისა და ძიების შესანიშნავი ხანაა. დღეს რესპუბლიკის ყოველ კუთხეში — ჩრდილოეთ დნესტრისპირეთიდან დუნაის ნაპირებამდე, მოლდაველი ხალხი აღნიშნავს შესანიშნავ მოვლენას თავის ისტორიაში.

მშობლიური აყვავებული მხარისათვის, პარტიისა და ხალხის გამარჯვებისათვის კანონიერი სიამაყის გრძნობით მოვიდნენ დღეს რესპუბლიკის საუკეთესო ადამიანები მოლდავეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა სახელოვან თარიღს.

მოხსენება „მოლდავეთის სსრ შექმნისა და მოლდავეთის კომუნისტური პარტიის შექმნის ორმოცი წელი" გააკეთა მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. ი. ბოდიულმა.

მქუხარე ოვაცია იმართება, როცა ტრიბუნაზე ადის ნ. ვ. პოდგორნი. იგი კითხულობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მისალმებას მოლდავეთის რესპუბლიკის მშრომელებისადმი სახელოვან იუბილესთან დაკავშირებით და წარმოთქვამს სიტყვას, რომლის დროსაც არაერთხელ გაისმის ხანგრძლივი ტაში.

საიუბილეო სხდომის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი.

## ოსვალდო დორტიკოს ტორადოს მოამავალი ვიზიტი სსრ კავშირში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და საბჭოთა მთავრობამ სთხოვეს კუბის რესპუბლიკის პრეზიდენტს ოსვალდო დორტიკოს ტორადოს მეგობრობის ვიზიტად ეწვიოს საბჭოთა კავშირს, როდესაც იგი ჰავანაში დაბრუნდება მიუმხრობელი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების კაიროს მეორე კონფერენციიდან.

პრეზიდენტმა ოსვალდო დორტიკოსმა მადლობით მიიღო ეს მიწვევა და უახლოეს დღეებში ჩამოვა სსრ კავშირში.

## ხირსელ მეღვინეთა წარმატება

[illegible]

## ახალი პროდუქცია

**რუსთავის** მეტალურგიული ქარხნის კოლექტივი ყოველწლიურად ახალ-ახალი პროდუქციის წარმოებას ითვისებს. ახლახან მილადიდვის საამქროში ამუშავდა შაბიამნის დანადგარი, რომელიც ყოველთვიურად ათობით ტონა რკინის აჯასპით ამარაგებს მეტალურგიული ქარხნის თბოელექტროცენტრალისა და წყალმომარაგების საამქროებს.

ახალი უბნის ამუშავებაზე ენერგიულად შრომობდნენ საამქროს უფროსი ო. ხოფერია, შემწამვლელი განყოფილების უბნის უფროსი რ. ბაბუნაშვილი და სხვები.

გ. ჯახუა,

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მილადიდვის საამქროს საიარაღო სახელოსნოს ბრიგადირი.



სურათზე: მახარაძის რაიონის თხინვალის კოლმეურნეობის მეჩაიე ლალი ხურციძე, რომელმაც 0,4 ჰექტარზე ნაცვლად 2.600 კილოგრამისა მოკრიფა 4.200 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

ფოტო ი. შაქარიშვილისა.

## რაციონალიზატორთა წვლილი

**ქუთაისის** ელექტრომექანიკური ქარხნის რაციონალიზატორებმა წლის დასაწყისშივე იკისრეს 1964 წლის ბოლომდე რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვით საწარმოსათვის სულ ცოტა 600 ათასი მანეთი ეკონომია მიეცათ. ეს ვალდებულება უკვე განაღდებულია. ახლა მათ იკისრეს წლის ბოლომდე შვიდწლედის ფონდში დამატებით შეიტანონ 150 ათასი მანეთი, რასაც ახალ რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვით მიიღებენ.

ამ ვალდებულების შესრულებისათვის ბრძოლაში ჩაბმულია ქარხანაში მომუშავე 175 რაციონალიზატორი მუშა და ინჟინერ-ტექნიკოსი, მათ შორის რაციონალიზაციის დარგში ისე ნაყოფიერად მომუშავე მუშები და ინჟინრები, როგორიც არიან მლარავი ჯ. ჭუმბურიძე, კონსტრუქტორი ა. ფიჩხაძე, ინჟინრები ნ. კვიცარიძე, ვ. გალოგრე და ლ. ჩიკაშუა.

გ. დოგორჯგინიძე.

## შეჯიბრება გაჩაღდა

**აბაშის** ეთეროვანი ზეთების ქარხნის კოლექტივი ყოველმხრივ მომზადებული შეხვდა ეთერზეთის მწვანე მასის გადამუშავების სეზონს. აქ უკვე გადაამუშავეს 180 ტონა რეჰანისა და 60 ტონაზე მეტი გერანის მწვანე მასა.

საწარმოს კოლექტივმა ვალდებულება იკისრა 7 ნოემბრისათვის გადაამუშაოს 1.000 ტონა გერანის და 700 ტონა რეჰანის მწვანე მასა.

ნაკისრ ვალდებულებათა გასანაღდებლად ქარხანაში გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება.

ივ. თოფურია.

# სკკპ ისტორიის ექვსტომეულის პირველი ტომი

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა პირველი ტომი „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ექვსტომეულისა", რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით დასაბეჭდად ამზადებს სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი. სკკპ ისტორიის ფუნდამენტური მეცნიერული ნაშრომის გამოცემა სავსებით უნდა დასრულდეს 1967 წელს — დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისათვის.

„...საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მრავალტომიანი ისტორია, — ნათქვამია წიგნის წინასიტყვაობაში, — ამოცანად ისახავს გააშუქოს პარტიის მთელი ისტორიული გზა — ბოლშევიზმის ჩასახვიდან ჩვენს დღეებამდე, დიდ ფაქტიურ მასალაზე უჩვენოს ახალი ტიპის პარტიის შესახებ ლენინური მოძღვრების გამარჯვება, განაზოგადოს პარტიის რევოლუციური ბრძოლისა და გარდამქმნელი საქმიანობის მრავალმხრივი გამოცდილება, მისი ორგანიზაციული მშენებლობა სხვადასხვა ისტორიულ პირობებში, მისი განვითარების კანონზომიერებანი.

ნაშრომში ყოველმხრივ არის გამოკვლეული ვ. ი. ლენინის როგორც კომუნისტური პარტიის ორგანიზატორისა და ბელადის, საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებლის, გენიალური მოაზროვნისა და პროლეტარული რევოლუციონერის რევოლუციური მოღვაწეობა; გაშუქებულია ის ახალი, რაც ვ. ი. ლენინმა შეიტანა მარქსიზმის მოძღვრებაში, ლენინური თეორიული მემკვიდრეობისა და პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების მრავალმხრივი თეორიული და პრაქტიკული საქმიანობის უდიდესი მნიშვნელობა".

მრავალტომიანი გამოცემის სტრუქტურა შემუშავებულია ლენინის მითითებების შესაბამისად ბოლშევიზმის ისტორიის ძირითადი პერიოდების შესახებ და პერიოდიზაციის გათვალისწინებით, რომელიც დამკვიდრდა საბჭოთა ისტორიოგრაფიაში.

კაპიტალური ნაშრომის პირველი ტომი მიეძღვნა თემას „ბოლშევიკური პარტიის შექმნა. 1883-1903 წწ." რსდმპ მომზადებისა და შექმნისათვის ბრძოლის მთელი ისტორია წიგნში გადმოცემულია ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების ისტორიასთან მჭიდრო კავშირში, აგრეთვე მსოფლიო მუშათა და რევოლუციური მოძრაობის ისტორიასთან კავშირში. წიგნში ფართოდ არის გამოყენებული პარტიულ ყრილობათა გადაწყვეტილებანი, რსდმპ ადგილობრივი ორგანიზაციების დოკუმენტები, არქივების მასალები, პერიოდული გამოცემები, სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის მონაწილეთა, ბოლშევიკური პარტიის მოღვაწეთა მემუარები და ნაწარმოებები.

შესანიშნავად გამოცემული წიგნი დაბეჭდა ლენინგრადის ა. მ. გორკის სახელობის № 1 სტამბის „ბეჭდვითი სახლის" კოლექტივმა. წიგნში დაბეჭდილია პროლეტარიატის დიდი მასწავლებლებისა და ბელადების კ. მარქსის, ფ. ენგელსისა და ვ. ი. ლენინის პორტრეტები. მასში ბევრი ილუსტრაციაა.

„საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის" გამოცემა არის ისტორიის, ფილოსოფიის, პოლიტეკონომიისა და სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში მომუშავე მეცნიერთა ფართო კოლექტივის კვლევის შედეგი. მთავარი რედაქციის შემადგენლობაში არიან: პ. ნ. პოსპელოვი, (თავმჯდომარე), ე. ი. ბუგაევი, ლ. თ. ილიჩოვი, ვ. ა. კარპინსკი, დ. მ. კუკინი, (თავმჯდომარის მოადგილე), ი. ი. მინცი, ი. დ. ნაზარენკო, ბ. ნ. პონომარიოვი, პ. ა. სატიუკოვი. (საკდესი).

# ვარკეთილის რთველი

**სამო** სანახავია შემოდგომით ვარკეთილის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა. ეს მეურნეობა კახეთის გზატკეცილის მარცხნივ მდებარეობს. მეურნეობაში შესვლისთანავე ყურადღებას იპყრობს გზის ორივე მხარეს ჩამწკრივებული კაკლის ხეები და მარადმწვანე მცენარეთა ნარგავები. იალნოს მთიდან მონაბერ ნიავს ზვრებიდან შემოდგომის სურნელება მოაქვს.

ვის არ ახსოვს სამგორის გადატრუსული ველები, მიწას უწყლობით პირი რომ უშრებოდა. აბა ახლა მობრძანდით და იხილეთ, რა შესძლებია ადამიანის მარჯვენას, გარჯას, იხილეთ ვარკეთილის მეურნეობის ზვრები, ხეხილის ბაღები, და დაიჯერებთ, რომ ამ ოდესღაც უკაცრიელ ველზე სასწაული მომხდარა.

სიხარული და სიამაყე გეუფლება, თვალუწვდენ ზვრებს რომ უყურებ. „შასლას", „თავრიზის", „ბულგარულის", „რქაწითელის" და „ჩინურის" მტევნები გამომწვევად ელვარებენ მზის სხივებზე. ცვრის სიმსხო მარცვლებში სიმწიფის მადლი ჩაღვრილა, ქალები თუ კაცები მწკრივთაშორისებს შესევიან. რთველია, ვარკეთილის რთველი, უხვი, ბარაქიანი...

— როგორი მოსავალია წელს? — შევეკითხეთ მეურნეობის დირექტორს ი. კ ა ვ ი ლ ა ძ ე ს.

— მართალია, წელს ჭირვეული ამინდი იყო, მაგრამ ვაზს ისე მოვუარეთ, რომ რესპუბლიკაში ხირსის მეურნეობის შემდეგ ჩვენ შევასრულეთ სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის გეგმა. აი, გაიცანით ჭარმაგი აგრონომი ვანო გონაშვილი, მეორე აგროგანყოფილების უფროსია. სად არ მიუღია მას მონაწილეობა ვენახის გაშენებაში! რა დაავიწყებს იმ დღეს, როცა მზისგან გადახრუკულ, ქვა-ღორღიან მინდვრებზე ნამყენის ჩასაყრელი ფართობის მომზადება დაიწყეს. აი აგროგანყოფილების უფროსები კ. ჭაფოძე, ა. ხიდაშელი, აგრონომ-ბრიგადირები ქ. დვალი, ვ. მხეიძე, თინა აბზიანიძე, ზოია ტაბატაძე, შ. კვირიკაშვილი, მერი ჯავაშვილი და სხვები. მათი ბეჯითი შრომით ინტენსიფიკაციის პირველ წელს გადავახარა ვარკეთილის რთველმა. ახლა მოსავალს არ იკითხავთ? იმ აგრობრიგადამ, რომელსაც ზოია ტაბატაძე ხელმძღვანელობს, 70 ცენტნერი ჩინური ყურძენი მიიღო ჰექტარზე. მას არც თინა აბზიანიძე ჩამორჩა.

მეურნეობის დირექტორი ი. კავილაძე ეკითხება ლუბა გიგაურს:

— რამდენი კილოგრამი ყურძენი მოკრიფე გუშინ?

— სამასი.

აქ მარტო რაოდენობაში როდია საქმე. მთავარია მოკრეფილი ყურძნის ხარისხი. ეს კარგად იცის ლუბამ. სწორედ ამიტომ მტევნებს გულმოდგინედ არჩევს და საუთუთად ალაგებს სუფთა ყუთში.

ხეივანში პირთამდე სავსე ყუთებია. აქ არიან მანქანების მძღოლები გ. მამამთავრიშვილი, შ. ჩოხელი და ო. შუღლიაშვილი. ისინი ყურძენს ეზიდებიან ჩვენი დედაქალაქის მშრომელებისათვის, მიაქვთ თბილხილბოსტანვაჭრობის მაღაზიებში.

— გუშინ რამდენი ტონა ყურძენი მიაწოდეთ დედაქალაქის მშრომელებს? — შეეკითხა მეურნეობის დირექტორს გარდაბნის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი ვახტანგ მირიანაშვილი.

— რვა ტონა. თუ ყუთები გვეყო, მეტსაც მივაწვდით.

ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობის მევენახეებმა გუშინ სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის წლიური გეგმა პირნათლად შეასრულეს, მიჰყიდეს 400 ტონა ხარისხოვანი ყურძენი.

რთველი კვლავ გრძელდება. დღეს და გადმოდღეს შრომა ვარკეთილში. ვარკეთილელთა გამარჯვება ქიმიის გონივრულად გამოყენების, ვაზის საგულდაგულოდ მოვლის შედეგია. და განა მარტო ვაზია ასე კარგად მოვლილი! აი ხეხილის ბაღეპიც..

რთველთან ერთად ახლა ვარკეთილში ბეჯითად მუშაობენ მწკრივთაშორის ნიადაგის დასამუშავებლად, ამზადებენ ნიადაგს ახალი ვენახის გასაშენებლად. ტრაქტორისტები შ. მძლაური და ვ. წიკლაური ნიადაგის მომზადების ყოველდღიურ დავალებას ორმაგად ასრულებენ. წელს შემოდგომით მეურნეობას 150 ჰექტარი ახალი ვენახი შეემატება, რომლის მორწყვა მოხდება დაწვიმების წესით. ეს პირველი იქნება რესპუბლიკაში. სამი წლის შემდეგ ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობაში ნაცვლად ახლანდელი ათასი ჰექტარისა იქნება 3 ათასი ჰექტარი ვენახი.

მეურნეობის კანტორაში ვნახეთ ბუღალტერი გ. ტაველიშვილი. მან გვითხრა:

— წელს მევენახეობიდან 50 ათასი მანეთი და მეხილეობიდან 40 ათასი მანეთი მოგება გვექნება. ეს სასუქების გონივრულად და ფართოდ გამოყენებისა და მექანიზაციის შედეგია.

ბევრი უცხოელი და მოძმე რესპუბლიკებიდან ჩამოსული სტუმრები ათვალიერებენ ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობის ვენახებს, ხეხილის ბაღებს. ისინი რწმუნდებიან, თუ რა შეუძლია საბჭოთა ადამიანების კეთილსინდისიერ შრომას.

ბარაქალა თქვენს მარჯვენას, ვარკეთილელო მევენახეებო!

შ. ჭოჭუა,

„კომუნისტის" სპეც. კორ.



სურათზე: რთველი ვარკეთილში. (წინა პლანზე) მოწინავე მევენახე ლ. ყარყარაშვილი, მეურნეობის დირექტორი ი. კავილაძე და მევენახე ლ. გიგაური.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

## მტკიცდება მეგობრობა

მოსკოვი, 9 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს პრაღიდან დაბრუნდა საბჭოთა სამხედრო დელეგაცია სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის, საბჭოთა კავშირის მარშლის რ. ი. მალინოვსკის მეთაურობით. იგი ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში იყო ჩეხოსლოვაკიის ეროვნული თავდაცვის მინისტრის, არმიის გენერალ ბ. ლომსკის მიწვევით. დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო ჩეხოსლოვაკიის სახალხო არმიის 20 წლისთავის აღსანიშნავ დღესასწაულში, იმოგზაურა ჩეხოსლოვაკიაში.

# ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით საქართველოში უკრაინული ლიტერატურის დეკადის მონაწილეთა დაჯილდოების შესახებ

საქართველოში უკრაინული ლიტერატურის დეკადის წარმატებით ჩატარებისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. გონჩარი ალექსანდრე ტერენტის-ძე.
2. დრაჩი ივანე თევდორეს-ძე.
3. ვირგანი ივანე ანიკეს-ძე.
4. ზბანაცკი იური (გრიგოლ) ოლიფერის-ძე.
5. ზაგრებელნი პავლე არქიპოს-ძე.
6. ზარუდნი ნიკოლოზ იაკობის-ძე.
7. ივანოვი პეტრე თევდორეს-ძე.
8. იურენკო ალექსანდრე სტეფანეს-ძე.
9. კაზიმიროვი იგორ პეტრეს-ძე.
10. კოზაჩენკო ვასილ პავლეს-ძე.
11. კოპილენკო ლიუბიმ ალექსანდრეს-ძე.
12. კოროტიჩი ვიტალი ალექსის-ძე.
13. კოსარიკი დიმიტრი მიხეილის-ძე.
14. ნოვიჩენკო ლეონიდე ნიკოლოზის-ძე.
15. პავლიჩკო დიმიტრი ვასილის-ძე.
16. სობკო ვადიმ ნიკოლოზის-ძე.
17. სტელმახი მიხეილ ათანასეს-ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე

ქ. თბილისი,
1964 წლის 8 ოქტომბერი.

# მსჯელობენ ჟურნალისტები

**ოთხი** დღეა ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის ჟურნალისტები ერთმანეთს უზიარებენ ქიმიის დარგში მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების პროპაგანდისათვის გაწეული მუშაობის გამოცდილებას.

პრესის მუშაკთა ზონალური შემოქმედებითი სემინარი, რომელიც ერევანში მიმდინარეობდა და მოიწვიეს სსრ კავშირისა და სომხეთის სსრ ჟურნალისტთა კავშირებმა, ქიმიის მეცნიერებისა და ტექნიკის წარმატებათა პოპულარიზაციის თავისებური სკოლაა.

— ჩვენ წილად გვხვდა, — თქვა თავის გამოსვლაში გაზეთ „იზვესტიის" რედაქტორის მოადგილემ სახალხო მეურნეობის დარგში ს როზენბერგმა, — დიდი პატივი პარტიასთან ერთად ვიბრძოლოთ პროდუქტების სიუხვისათვის, ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებისათვის.

გარდა ძირითადი მოხსენებებისა, რომლებიც გააკეთეს ჟურნალების „ტექნიკა-მოლოდიოჟის", „ზნანიე-სილას", რესპუბლიკური გაზეთების „ბაკინსკი რაბოჩის", „ზარია ვოსტოკას" და „სოვეტაკან აიასტანის" პასუხისმგებელმა მუშაკებმა, სემინარზე გამოვიდა პრესის სააგენტო „ახალი ამბების" მეცნიერების განყოფილების გამგე ლ. ტეპლოვი. მან ილაპარაკა საბჭოთა ქიმიის მეცნიერების წარმატებებზე, მასალების მიწოდების ფორმებზე.

აზრთა გაზიარებაში მონაწილეობა მიიღეს წყალტუბოს სარაიონთაშორისო გაზეთ „დროშის" რედაქტორმა დ. გაბრიაძემ, გაზეთ „ვეჩერნი როსტოვის" რედაქციის ლიტერატურულმა მუშაკმა ი. პელევინმა, ნოვოჩერკასკის საქალაქო გაზეთ „ზნამია კომუნის" რედაქციის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგემ ვ. მიხეევმა, როსტოვის საოლქო გაზეთ „მოლოტის" რედაქციის მრეწველობისა და პარტიული ცხოვრების განყოფილების გამგის მოადგილემ ე. პოპოვმა, გაზეთ „სტავროპოლსკაია პრავდის" რედაქციის მრეწველობის განყოფილების გამგემ ქ. კორიტოვმა.

სემინარის მონაწილენი შეხვდნენ სომხეთის წამყვან მეცნიერ ქიმიკოსებს, გაეცნენ სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა და სამრეწველო საწარმოთა მუშაობას.

10 ოქტომბერს პრესის მუშაკები სომხეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში მიიღო სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. არუთინიანმა, რომელმაც ჟურნალისტებს გააცნო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარება. (სომხდესი).

# პლანტაციის ჯადოქარი

[illegible]

ზეზი რომ შეიტყო, გაეხარდა. მოიგონა მ. ბოტვინიკის სტუმრობა გალში.

— შესანიშნავი მოსაუბრე ყოფილა ბოტვინიკი, — ამბობს ციალა, ძალიან ბევრს მეკითხებოდა ჩაის კულტურისა და კრეფის ტექნიკის შესახებ. აინტერესებდა ჩაის საკრეფი მანქანის „საქართველოს" მუშაობა.

[illegible] განათლების ჭილებაზე ფიქრი არ ასვენებდა. კარგად მოემზადა და მისაღები გამოცდები ჩააბარა სოხუმში, საოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სუბტროპიკული კულტურების ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე. დღეს გამრეკ ქალიშვილი უკვე მესამე კურსის სტუდენტია. მაგრამ თავისი დიდი შრომისმოყვარეობა, სიბეჯითე ციალამ „მწვანე ოქროს" პლანტაციებში აჩვენა. ყველა მოხიბლული რჩებოდა მისი მუშაობით, ხალისით და საქმისადმი ერთგულებით. ამიტომაც გამოირჩეოდა ტოლამხანაგებში. ყველაფერი ეს გაითვალისწინეს ჰუბურხინჯელებმა, როცა ციალა ყოლბაია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. წელს ვალდებულება ვიკისრე მომეკრიფა 12 ტონა ჩაის ფოთოლი, — არლევეს დუმილს ციალა. — გეგმით მხოლოდ 5 ტონა მქონდა მოსაკრეფი. დღევანდელისთვის შესრულებული მაქვს ჩემი დანაპირები.

— დღეში რამდენ კილოგრამს კრეფდით?

— ბევრი იყო დამოკიდებული ბუჩქების ხარისხსა და გაწყობაზე. 190-210 კილოგრამს ვკრეფდი, ზოგჯერ 220 კილოგრამსაც.

— ამას რამდენ საათს უნდებოდით?

— როგორც წესი, დილის 6 საათზე ვიწყებდი მუშაობას. და თუ არ ჩავთვლით ერთ-ორ საათ დასვენებას, დაღამებამდე, ზოგჯერ წვიმაშიც ვკრეფდი.

[illegible] ალბათ ამას გაზეთში დაწერთ და გთხოვთ ესეც მოიხსენიოთ: ჩვენთან მუშაობს ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო". ჩინებული მანქანაა. ვფიქრობ ახლო მომავალში უპირატესად მას მოვაკრეფინებთ ჩაის ფოთოლს.

— ციალა, — მივმართავ სახელოვან მეჩაიეს, — რით ხართ ამჟამად დაინტერესებული, თქვენი მუშაობის გარდა?

კითხვას თითქოს ელოდა.

— სხვა კიდევ რა გაინტერესებთ?

— თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა თამაშით. ნონა გაფრინდაშვილისა არ იყოს, მათი გულშემატკივარი ვარ.

საუბარში კვლავ მამია ყოლბაია ერევა. ის ლაპარაკობს ციალას საზოგადოებრივ საქმიანობაზე. დეპუტატი არაერთხელ ესაუბრება სოფლების ოტობაიის, საბერიოს კოლმეურნეებს. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიიდან დაბრუნებისთანავე კოლმეურნეებს მოუთხრობს რესპუბლიკის უმაღლესი ორგანოს მუშაობის შესახებ.

კმაყოფილი ვბრუნდებოდი ჰუბურხინჯიდან, რომ ახლოს გავიცანი ნამდვილი საბჭოთა ახალგაზრდა, რომლის მსგავსნი ალამაზებენ ჩვენს ცხოვრებას. გამახსენდა მ. ბოტვინიკის ნათქვამი:

— ეს გოგონა „პლანტაციის ჯადოქარი" იქნება. მის თვალებში ნებისყოფა და დიდი სიცოცხლისუნარიანობა შევამჩნიე.

**თ. გიორგაძე**



## ძველი ბოლშევიკების მაგალითი

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქში მცხოვრები ძველი ბოლშევიკები აქტიურად მონაწილეობენ პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობაში. ბევრი მათგანი ჩაბმულია პარტიის საქალაქო კომიტეტთან და საქალაქო საბჭოს აღმასკომთან საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი კომისიებისა და განყოფილებების, აგრეთვე სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობაში.

ბ. ეძგვერაძე, რომელიც სკკპ წევრია 1903 წლიდან, ხშირად გამოდის მშრომელთა, განსაკუთრებით ახალგაზრდობის წინაშე მოგონებებით ჩვენი პარტიის გმირული ისტორიის ცალკეულ საკითხებზე. რ. გედენიძე (სკკპ წევრი 1917 წლიდან) არჩეულია პარტიის საქალაქო კომიტეტის წევრად და, ამასთან, აქტიურად მონაწილეობს სკკპ რიგებში მიღებისა და კომუნისტების პერსონალური საკითხების განმხილველი კომისიის მუშაობაში.

ძველი ბოლშევიკები ვ. კალმახელიძე, ლ. ბახტაძე, დ. აბაშიძე, ა. ჭკადუა, ვ. ტყაბლაძე, ა. ნამჩევაძე და სხვები ხშირად ხვდებიან მოსწავლეებსა და ახალგაზრდა მუშებს, ხალისით მოუთხრობენ მათ საქართველოს კომპარტიის ბრძოლის ეპიზოდებზე, იმ დიდ მუშაობაზე, რასაც პარტია ეწეოდა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის, ბედნიერი ცხოვრების დამკვიდრებისათვის.

ამას წინათ აქ გაიმართა ძველ ბოლშევიკთა საქალაქო შეკრება, რომელმაც კონკრეტული ღონისძიებები დასახა სკკპ ძველი წევრების პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობაში უფრო ფართოდ ჩაბმისათვის.

## ● ავჭალის სილიკატური საკედლე მასალების ქარხანა ამუშავების წინ

თბილისის გარეუბანი — ავჭალა დიდი შენაძენის მოლოდინშია. მალე აქ უნდა ამუშავდეს რესპუბლიკის სამშენებლო ინდუსტრიის სიამაყე და მშენებლების მიერ შევრჯერ ნანატრი საწარმო — სილიკატური საკედლე მასალების ქარხანა. იგი სრული საპროექტო სიმძლავრის ათვისებისას ყოველ სამ დღეში მოგვცემს ერთ მილიონამდე ცალ სამშენებლო აგურს — იაფ და მტკიცე, კლასიკურ საკედლე მასალას.

**რატომ არის ნანატრი და საოცნებო თბილისელი მშენებლებისათვის სილიკატური აგური?** — იმიტომ, რომ მისი გამოშვების შრომატევადობა სამჯერ ნაკლებია წითელი აგურის გამოშვების შრომატევადობაზე, მაშასადამე, იმ დროში, რაც ერთი ცალი წითელი აგურის გამოშვებას სჭირდება, შეიძლება სამი ცალი სილიკატური აგურის გამოშვება, ხოლო ეს იმას ნიშნავს, რომ აგურის თვითღირებულებაც ნაკლები იქნება, მშენებლობა უფრო იაფი დაჯდება.

კირი და კვარცის ქვიშა — აი ძირითადად საჭირო ის ნედლეული, საიდანაც ადამიანის გონებით შექმნილი მანქანა-დანადგარები გრეიფერული და სკიპური ამწეები, საესტაკადო ტრანსპორტერები, წისქვილები და ელევატორები ჯადოქრული სისწრაფითა და თანმიმდევრობით გადაამუშავებენ კირსაცა და კვარცის ქვიშასაც, საგურე მასას ნაკადად გაუშვებენ სწრაფმოქმედი საწნეხე და საყალიბო დანადგარებისაკენ, აივსებიან ნედლი აგურით იქვე ჩამოყენებული ვაგონეტები, შემდეგ ვაგონეტები ავტოკლავში შეძვრებიან, ჰერმეტიულად დახურავენ. ავტოკლავებს და გარკვეული ტემპერატურის, მაღალი ხელოვნური წნევისა და ორთქლის ზეგავლენით რამდენიმე საათის შემდეგ ათეულ ათასობით აგური მზად იქნება სამშენებლო მოედანზე წასაღებად. არც გამოწვა, არც ღუმელი და ცეცხლის ვარვარების საკირკიტო რეჟიმის დაცვა აქ საჭირო არ იქნება.

**შეიძლება თუ არა შემდგომში აქ აგურის გამოშვების კიდევ მეტად გადიდება?** სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ეს სავსებით შესაძლებელი იქნება, თუ ამ საწარმოს ხელმძღვანელებმა შემდგომში გამოიჩინეს არსებული რეზერვების გამოვლინებისა და გამოყენების უნარი, ისევე როგორც... და მოჰყავთ საბურთალოს მშრალი წნეხვის აგურის მექანიკური ქარხნის მაგალითი.

საბურთალოს აგურის მექანიკური ქარხანა თავდაპირველად დაპროექტებული იყო ყოველწლიურად სულ რაღაც ათიოდე მილიონი ცალი წითელი აგურის გამოსაშვებად. მაგრამ შემდგომში, როცა აგურზე მოთხოვნილება გაიზარდა, ამ საწარმოს ხელმძღვანელებმა შემდგომი სამეურნეო ორგანიზაციების დახმარებით შეძლეს სიმძლავრის იმდენად გადიდება, რომ ბოლო წლებში ქარხანა უკვე ხუთჯერ მეტ აგურს გვაძლევს და კვლავაც მოგვცემდა, რომ მისი ნედლეულის ბაზა მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებსა და მზარდშილ პროსპექტებს არ დაეკავებინათ.

დღეში 300 ათასი ცალი და მეტი აგური სავსებით დააკმაყოფილებს თბილისელი მშენებლების „მადას". სილიკატური აგურის გარდა ამ ახალ ქარხანაში გათვალისწინებული იყო საკედლე ბლოკების გამოშვებაც, ამიტომ უწოდეს ამ საწარმოს „სილიკატური საკედლე მასალების ქარხანა". მაგრამ იმის გამო, რომ სამშენებლო ინდუსტრიის ტექნიკა უაღრესი სისწრაფით ვითარდება, ბლოკები სახლმშენებლობაში უფრო პროგრესულმა მოცულობითმა პანელებმა შეცვალა, საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველომ მიზანშეწონილად მიიჩნია საკედლე ბლოკების გამოშვების ნაცვლად გაადიდოს აგურის გამოშვება.

ახლა აქ დიდი მზადება და ამუშავების წინადღეების დამახასიათებელი ფუსფუსია. უკვე მოვიდა თბილისის საშენ მასალათა კომბინატიდან, რომელმაც უნდა მიიღოს ეს ქარხანა, სამქროების, უბნების, ცალკე ტექნოლოგიური კვანძების მიმღები კომისია.

მუშაობს მიმღები კომისია და პარალელურად მშენებლები და მემონტაჟეები ასწორებენ შემჩნეულ დეფექტებს, ასამუშავებლად ამზადებენ გაზგაყვანილობას, ნედლეულის მისაღებ ღია საწყობებს, ბუნკერებს, საწნეხე და საყალიბო უბანს, ელევატორებსა და ავტოკლავებს, ტექნოლოგიურ დანადგართა მთელ კომპლექსს.

## საწარმოს დაბადება

ასობით მშენებლისა და მემონტაჟის ყოველდღიური, დაძაბული შრომა სამაგალითოა. საამქროები, უბნები, განყოფილებები, რომლებიც დღეს დილით ჩახერგილნი იყვნენ, როგორც ეს გარდუვალია ყოველ დიდ მშენებლობაზე, საღამოთი გასუფთავებულნი, საბოლოო ინდუსტრიული გარეგნობით გვევლინებიან. ეს ტემპი, წინსვლის ეს რიტმი, რომელიც ახლა იგრძნობა ქარხნის ამუშავების წინადღეებში, იმვს არ იწვევს, რომ მართლაც სულ მოკლე ხანში ავჭალის მიწიდან დაიბადება მილიონობით სილიკატური აგური.

**კიდევ რა არის აქ საინტერესო?** ავჭალის მიწა თურმე სილიკატური აგურის საუკეთესო ნედლეული ყოფილა. გეოლოგების დასკვნით ამ ნედლეულს კვარცის ქვა-ქვიშას ვერ გამოვლევთ მრავალი ათი წლის განმავლობაშიც კი, თუნდაც სამმა და ოთხმა ასეთი სიმძლავრის ქარხანამ რომ იმუშაოს. კიდევ კირქვა ყოფილა საჭირო სილიკატური აგურის წარმოებისათვის, კირქვის საუკეთესოდ მოწყობილი კარიერი კი წითელწყაროში გვაქვს. უკვე დაიწყეს სილიკატური აგურის გამოსაშვებად საჭირო ამ მთავარი კომპონენტის — კირქვის შემოზიდვა. 5 ოქტომბერს რკინიგზის შემადგენლობამ პირველად ჩამოიტანა წითელწყაროდან და ღია საწყობში პირველად ჩატვირთა კირქვის პარტია.

ამ ქარხნის მშენებლობის ისტორიაც საინტერესო და ცოტა სათაკილო გასახსენებელია. სათაკილო იმიტომ, რომ მისი მშენებლობა დაიწყო 1956 წელს, რვა წლის წინათ, მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებამ, რომელმაც საქმეს თავი ვერ მოაბა. ჩამოართვეს მას ეს მშენებლობა და სხვას გადასცეს, შემდეგ, როცა ჩამოყალიბდა თბილისის საშენ მასალათა კომბინატი, ამ მშენებლობასაც ეღირსა მზრუნველი ხელი...

ტაატით, დაუდევრად, უპასუხისმგებლოდ უმუშავნიათ წინა წლებში მშენებლებს. ეტყობა, არც გახსენებიათ, რომ ამ ქარხნის მშენებლობის დროით მოთავებას ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის, თბილისის განაშენიანებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ აგური თბილისელი მშენებლებისათვის საჭირო იყო, როგორც ჰაერი, და თავიანთი უპასუხისმგებლო მუშაობის დამადასტურებელ „დოკუმენტებად" დაუტოვებიათ უგვანოდ შესრულებული ნაგებობანი — ბუნკერები, რომლებსაც ხელახლა დაბეტონება და შეკეთება სჭირდება, საფინიშო მოედანი, სადაც ლიანდაგები ბეტონის სქელ ფენაშია ჩამარხული.

ყველა ამ დაუდევრობის, წინათ დაშვებულ აშკარა ტექნიკურ დამახინჯებათა გამოსწორება ახლანდელ მშენებლებსა და მემონტაჟეებს უხდებათ. ამ საქმეზე დაბანდებულია ბევრი კვალიფიციური მუშა. დანანებით იტყვი კაცი: განა არ შეიძლებოდა, რომ იმათ, ვინც დაგვიანებით, მაგრამ მტკიცედ ჩასჭიდა ხელი ამ ჩავარდნილ მშენებლობას, მალლა ამოსწია და რამდენიმე თვის განმავლობაში დამთავრების დონემდე მიიყვანა, უფრო ადრე გაეკეთებინათ ეს მნიშვნელოვანი, სასარგებლო საქმე?

წელს, ახალი სამეურნეო წლის დაწყებამდე დარჩენილ მოკლე დროში ავჭალის სილიკატური საკედლე მასალების ქარხნის კოლექტივმა უნდა მოგვცეს მრავალი მილიონი ცალი სილიკატური სამშენებლო აგური.

ამიტომ ჩქარობენ მშენებლებიცა და მემონტაჟეებიც, ამიტომ მოდიან აქ ყოველდღე და ქარხნის ასამუშავებლად გამზადების სამუშაოებს თვალყურს ადევნებენ სახალხო მეურნეობის საბჭოს საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველოს უფროსი ამხ. გრ. ცინცაბაძე, გენერალური მოიჯარადრის — თბილმრეწვმშენის ტრესტის მმართველი ამხ. კ. გოგიჩაიშვილი, თბილისის საშენ მასალათა კომბინატის დირექტორი ამხ. ი. ინგოროყვა და სხვ. ამიტომ ასწორებენ დღესა და ღამეს, ყველა საშუალებით ეხმარებიან მშენებლებსა და მემონტაჟეებს მშენებლობის დირექციის ხელმძღვანელები ამხ. ალ. ჭელიძე და მთავარი ინჟინერი ამხ. დ. ნიკოლაიშვილი, თბილისის საშენ მასალათა კომბინატის მთავარი ინჟინერი ამხ. ვს. ეროშევი, თბილმრეწვმშენის № 1 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს უფროსი ამხ. ნ. ერისთავი.

ყველანი ემადლიერებიან და სიბეჯითეს უქებენ სამშენებლო უბნის უფროსს ინჟინერ გ. გიორგობიანს და მის უბანზე მომუშავე კომპლექსურ ბრიგადას, რომელსაც ვიქტორ გაფრინდაშვილი ხელმძღვანელობს. კარგ შეფასებას აძლევენ გ. დულაშვილის ბრიგადას, რომელსაც მინდობილი აქვს ნაგებობათა მოპირკეთება, გ. ალატორცევისა და ვ. მეჭურჭლიშვილის ელექტროშემდუღებელთა ბრიგადებს, რომლებმაც სახელი გაითქვეს სამუშაოთა სწრაფად და მაღალხარისხოვნად შესრულებით.

უკვე საამქროებში არიან და ავჭალის წიაღიდან პირველი სილიკატური აგურის დაბადების გეგმას აწყობენ, ანგარიშობენ და ძალებს ანაწილებენ კირის წარმოების უფროსი ალ. დეკანოსიძე, აგურის საამქროს უფროსის მოადგილე ინჟინერი შ. წიკლაური, საქვაბე მეურნეობის ხელმძღვანელი გ. ქირიკაშვილი. სადაც არის მოზიდავენ კვარცის ქვაქვიშას, ჩართავენ დენს. ახმაურდება ნედლეულის საფქვავი წისქვილები, ამუშავდება მაღალი ელევატორები, აგრიალდება საყალიბო მანქანები, და ავტოკლავების სტომაქიდან საფინიშო მოედანზე ყოველ ათ საათში ერთხელ გამოგორდება მზა აგურით სავსე ვაგონეტები.

**დ. ლომთაძე.**

* * *



**სურათზე:** სილიკატური ქარხნის მშენებლობის მოწინავე ადამიანები (მარცხნიდან) მომპირკეთებელთა ბრიგადის ბრიგადირი გ. დულაშვილი, № 4 სამშენებლო უბნის უფროსი გ. გიორგობიანი, მასის დამამზადებელი საამქროს უფროსი ა. ბიკაშვილი, საყალიბო და შემაორთქლებელი საამქროს უფროსი შ. წიკლაური, საკარიერო მეურნეობის უფროსი ს. მოდებაძე, შემაორთქლებლები კ. ვახტანგიშვილი და შ. ქმუტაშვილი, მემონტაჟეთა ბრიგადის ბრიგადირი ვ. მეჭურჭლიშვილი, ზეინკალი ა. ჯეირანოვი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## მეცნიერთა ფორუმი

**ი. ბუაჩიძე,**
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ხვალ, 12 ოქტომბერს თბილისში მუშაობას შეუდგება საინჟინრო გეოლოგიის გამოჩენილ მეცნიერთა მეოთხე სრულიად საკავშირო თათბირი, რომელიც ოთხ დღეს გასტანს. მეცნიერთა ამ დიდ ფორუმში მონაწილეობას მიიღებს საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის სხვადასხვა ქვეყნის 500-ზე მეტი გამოჩენილი სპეციალისტი, რომლებიც უკვე ჩამოდიან ჩვენს დედაქალაქში.

ფორუმის მსჯელობის საგნად გამოტანილია საინჟინრო გეოლოგიის მეტად აქტუალური საკითხი, რომლის გადაწყვეტას არსებითი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირში უმაგალითო მასშტაბით გაშლილი მშენებლობის წარმატებისათვის. ჩვენს მშენებლებს, როცა მათ საქმე აქვთ სუსტ გრუნტებთან, მუშაობის წარმოება, სამშენებლო ობიექტების აგება ხშირად უხდებათ მეტად რთულ გეოლოგიურ პირობებში. ასეთი სუსტი გრუნტების გამაგრება, ნაგებობის ხანგამძლეობის უზრუნველსაყოფი საფუძვლების გამონახვა და შექმნა საინჟინრო გეოლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, დიდად აქტუალური საკითხია.

ამიტომ არის, რომ გამოჩენილ მეცნიერ-სპეციალისტთა ამ ფორუმის განსახილველად დაყენებულია გრუნტების ხელოვნურად გამაგრებისა და გამკვრივების საკითხები. ფორუმი განიხილავს სუსტი გრუნტების საინჟინრო გეოლოგიისა და ტექნიკური მელიორაციის როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ საკითხებს, მოხდება ამ დარგში მოპოვებულ მეცნიერულ მიღწევათა ურთიერთ გაცვლა, განხილულ იქნება ამა თუ იმ კონკრეტულ გეოლოგიურ პირობებში გრუნტების გამკვრივება-გამაგრების სხვადასხვა მეთოდი, იმ თვალსაზრისით, რომ მშენებლობა გაიაფდეს და სავსებით უზრუნველყოფილ იქნას ნაგებობის ხანგამძლეობა.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ უაღრესად ავტორიტეტული თათბირის დღის წესრიგში განსაკუთრებით არის გამოყოფილი სუსტი, კლდოვანი და ჯდენადი გრუნტების ტექნიკური მელიორაციის საკითხები. საჭიროა აღინიშნოს რომ ასეთ გრუნტებთან დაკავშირებულია სხვადასხვა პროცესების წარმოქმნა — მეწყრებისა და ზვავების გაჩენა, ნიადაგის დაჯდომა და ა. შ., რაც ხშირი მოვლენაა განსაკუთრებით ჩვენს რესპუბლიკაში და რაც აურაცხელ ზარალს აყენებს საქართველოს სახალხო მეურნეობას. მაშასადამე, გრუნტების გამაგრება-გამკვრივება საჭიროა არა მარტო მშენებლებისათვის, არამედ მეწყრებისა და ზვავების, აგრეთვე ე. წ. სელური ღვარცოფების აღკვეთისათვის, სახალხო მეურნეობისათვის საზიანო მთელ რიგ ბუნებრივ მოვლენებთან საბრძოლველად.

საქართველოს მეცნიერებმა, რომლებიც საინჟინრო გეოლოგიის დარგში მუშაობენ, კერძოდ, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჰიდროლოგიისა და საინჟინრო-გეოლოგიური ლაბორატორიების თანამშრომლებმა დიდი მუშაობა გასწიეს გრუნტების გამაგრება-გამკვრივების რაციონალური მეთოდების შესამუშავებლად. მათ დაამუშავეს ნიადაგში ფილტრაციის აღსაკვეთი ღონისძიებანი, რაც უკვე გამოყენებულია სამგორის ველის სარწყავ სისტემაში, შეიმუშავეს საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე მეწყრების დამაგრების ელექტროქიმიური მეთოდი, გამონახეს თბილისში ახალი საცხოვრებელი სახლების სასაფუძვლე ადგილებზე ლიოსის გრუნტების გამაგრების ტექნიკური საშუალებანი და ა. შ.

ფორუმის მონაწილენი მოწვეული არიან საქართველოს ზოგიერთი ჰიდროტექნიკური ნაგებობის გასაცნობადაც. ისინი დაათვალიერებენ ხრამჰესებს, სამგორის სარწყავ სისტემას, სიონისა და თბილისის წყალსაცავებს...



ფორუმის მუშაობის დაწყებასთან დაკავშირებით გახსნილია გამოფენა, რომელიც ასახავს სუსტი გრუნტების გამაგრება-გამკვრივებაში საბჭოთა საინჟინრო გეოლოგიის დარგში მომუშავე მეცნიერთა მიღწევებს.

## საბჭოთა ტუვა 20 წლისაა

# ზეიმი ცისფერი მდინარეების ქვეყანაში

**მ. კ. მენდუმე,**
ტუვის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

დიდი და სასიხარულო მოვლენის 20 წლისთავს აღნიშნავენ ტუვის ასსრ მშრომელები. 1944 წლის 11 ოქტომბერს ასრულდა ტუვის მცხოვრებთა სანუკვარი ოცნება — ისინი გახდნენ დიადი საბჭოთა სახელმწიფოს მოქალაქენი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა იმ დღეს ტუვის სახალხო რესპუბლიკა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მიიღო რუსეთის სფსრ ავტონომიური ოლქის უფლებით. 1961 წელს ოლქი გარდაიქმნა ტუვის საბჭოთა სოციალისტურ ავტონომიურ რესპუბლიკად.

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ტუვის შესვლამ ტუველი ხალხის წინაშე სამეურნეო და კულტურული განვითარების დიადი პერსპექტივები დასახა. ტუვაში ოცი წლის განმავლობაში ღრმა სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნები მოხდა.

დიდად განვითარდა სოფლის მეურნეობა. თუ 1944 წელს მთელი სათესი ფართობი არ აღემატებოდა 60 ათას ჰექტარს, ახლა იგი შეადგენს 400 ათასამდე ჰექტარს. მარტო უკანასკნელ ათ წელიწადში მარცვლეულის მთლიანი მოსავალი გადიდდა 3,2-ჯერ, ხოლო სახელმწიფოსათვის მისი მიყიდვა — 4,1-ჯერ.

უდიდესი წარმატებებია მიღწეული მრეწველობის განვითარებაში. სწრაფად ვითარდება მსუბუქი და კვების, ქვანახშირისა და ხის დასამუშავებელი, ტყავისა და სამთამადნო მრეწველობა. მიმდინარე წლის სექტემბერში მწყობრში ჩადგა აკდოვურაქსის აზბესტის კომბინატის პირველი რიგი. ჩვენი ქვეყნის საწარმოებში გაიგზავნა ტუვის მაღალხარისხოვანი აზბესტი. წარმოებს ხოვუ-აქსის კობალტის კომბინატის მშენებლობა.

ტუველი ხალხის კულტურის აყვავება ხასიათდება ასეთი ციფრით: ახლა მოსახლეობის ყოველ თხუთმეტ კაცზე მოდის ერთი საშუალო და უმაღლესი სპეციალური განათლების მქონე ადამიანი. კადრები სწრაფად განვითარებადი სახალხო მეურნეობისათვის მზადდება ჩვენი ქვეყნის ბევრ უმაღლეს სასწავლებელში. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლობს 50 ათასამდე ბავშვი. ეს მოსახლეობის მეოთხედი ნაწილია. ათჯერ და უფრო მეტად გადიდდა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, კინოდანადგართა ქსელი.

სასიხარულო და ბედნიერია ცხოვრება ტუვაში, ცისფერი მდინარეების ქვეყანაში. ყველგან შემოქმედებითი შრომა ჩქეფს. ტუველი ხალხი მთელ საბჭოთა ხალხთან მხარდამხარ აშენებს კომუნიზმის დიად შენობას.



[illegible] სურათზე: ყიზილის ახალი საცხოვრებელი კვარტალი. (საქდესის ფოტოქრონიკა).

# ქვათა ღაღადი

რა დიდებულია ერთ დროს მრავალტანჯული, მაგრამ ახლა მკვდრეთით აღმდგარი მესხეთ-ჯავახეთი! შორეულ წარსულში აქვს დადებული სათავე აქაური მკვიდრი მოსახლეობის სამეურნეო-კულტურულ ცხოვრებას. როგორც არქეოლოგიური ფაქტები მოწმობენ, ადამიანი ჯერ კიდევ 200-250 ათასი წლის წინ დასახლებულა ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებით დაჯილდოებულ ამ მხარეში. ახალციხის მახლობლად — ამირანის გორაზე — მოპოვებული მასალები კი ერთხელ კიდევ გვარწმუნებს, რომ აქაური მკვიდრი მოსახლეობა ღირსეული წევრი ყოფილა იმ კულტურულ ხალხთა ოჯახისა, რომელიც წინა აზიაში ძვ. წ. IV-I ათასწლეულთა მანძილზე დიდ სამეურნეო და კულტურულ შემოქმედებას ეწეოდა.

დიდია ამ მხარის წვლილი ქართველი ერისა და მისი თვითშეგნების ჩამოყალიბებაში. ცნობილია, რომ ფეოდალური საქართველოს ძლიერებას თითქმის მთელი ათასი წლის განმავლობაში მესხეთ-ჯავახეთი ედო ქვაკუთხედად. იგი იყო მისი ფორპოსტი სამხრეთიდან მოძალებული მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამიტომ არ უნდა იყოს გასაკვირველი, თუ რატომ არის ასე ბევრი ისტორიული ძეგლი ამ მხარეში.

მათ შორის ერთ-ერთი პირველი ადგილი კლდეში ნაკვეთ ქვაბებს უჭირავთ. ვარძია, ვანის ქვაბები, სამსარი ამის საუკეთესო ნიმუშებია. სავსებით ბუნებრივია, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან ამ რამდენიმე წლის წინ დაარსებულმა სპელეოლოგიურმა კომისიამ თავისი პირველი გამსვლელი სესია სწორედ ახალციხეში მოაწყო. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელთა ხელშეწყობით, როგორც თვით სესია, ისე სესიის მონაწილეთა მიერ მესხეთ-ჯავახეთის ისტორიული ძეგლების ერთგვარი საინსპექციო მოხილვა-დათვალიერება ჩინებულად იყო ორგანიზებული. სესიამ ადგილობრივ მოსახლეობაშიც ფრიად დიდი ინტერესი გამოიწვია.

მოხსენებები (გ. გაფრინდაშვილის, შ. ონიანის, ლ. ხიმშიაშვილის) და მათ ირგვლივ წარმოთქმული სიტყვები (კ. ჯავრიშვილის, ვ. ბერიძის, ალ. კალანდაძის, ლ. ისაკაძის, გ. ლომსაძის, ნ. ნათენაძის) სესიამ დიდი ყურადღებით მოისმინა. მსჯელობის საგანს შეადგენდა ამ მხარის კლდეში ნაკვეთ ქვაბთა ხუროთმოძღვრება, მათში აღმოჩენილი ნივთები, კულტურის ნაშთები, ეპიგრაფიკული ძეგლები და კულტურის ყველა ამ ძეგლთან დაკავშირებული აღდგენა-კონსერვაციისა თუ მოვლა-პატრონობის საკითხები. კერძოდ, აღინიშნა, რომ მესხეთ-ჯავახეთის ქვაბთა კომპლექსები (ვარძია, ვანის ქვაბები, ჭაჭკარი, სამსარი და სხვ.) ფრიად მნიშვნელოვან ძეგლებს წარმოადგენენ ძველი ქართული სამშენებლო ხელოვნების დარგში. მათი საშუალებით ვეცნობით კლდეში ნაკვეთ სოფლებს, ხალხური საცხოვრისის უძველეს ნიმუშებს, გვირგვინული განათების გლეხურ დარბაზებს, მონასტრებს — გამოქვაბულ გუმბათიან და დარბაზულ ეკლესიებთან დაკავშირებულ ქვაბსაცხოვრისებს, საწნახლებს, საქაჯავებს, წისქვილებს და სხვ.

კლდის ამ ძეგლების მნიშვნელობა შორს სცილდება თვით კლდეში კვეთის ხელოვნების შესწავლის სფეროს. ქანების თავისებურების გამო ამ ძეგლებმა თითქმის დაუნგრევლად, პირვანდელი სახით მოაღწიეს ჩვენს დრომდე და მათი მეშვეობით შესაძლებელია ამავე სახის ქვის ან ხის ნაგებობების თავისებურებათა გამორკვევა. ამავე ძეგლებმა მხატვრობის არა ერთი საყურადღებო ნიმუში შემოგვინახეს, რაც საიმედო დასაყრდენია ქართული ფერწერის განვითარების წარმოსადგენად.

არანაკლებ მნიშვნელოვანია კლდეზე ამოკვეთილი წარწერები — კლდეზე დაწერილი „ქართლის ცხოვრების" დაფანტული ფურცლები. ამ წარწერათა მნიშვნელობა დიდია არა მარტო ერის ისტორიის ამა თუ იმ საკითხის დასაზუსტებლად, არამედ თვით ქართული დამწერლობის განვითარების საფეხურების ნათელსაყოფადაც. მაგალითისათვის რად ღირს ვანის ქვაბთა ეკლესიის კედლებზე ქალთა მიერ XV-XVI საუკუნეებში შესრულებული მინაწერები.

ამ წარწერებს სრულიად ახალი მასალები შემოაქვთ ძველ ქართულ მწერლობაში. მათი მნიშვნელობა, სხვა რომ არა იყოს რა, იქიდანაც ჩანს, რომ ამ წარწერებმა შემოგვინახეს „ვეფხისტყაოსნისა" და „როსტომიანის" ნაწყვეტების უძველესი ჩანაწერი. აქვეა ხალხური ლექსები, რაც მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართული ფოლკლორის ისტორიისათვის. სამონასტრო ცხოვრებისათვის ეს უჩვეულო თავისებურება დამოწმებული არ არის არათუ საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლთა აღდგენა-გამაგრების საქმეს უკანასკნელ წლებში მყარი მეცნიერული საფუძველი დაედო. ადრე კლდის ძეგლის გამაგრება ჩვენთვის უჩვეულო რამ იყო და პრაქტიკულად არც სრულდებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ ვარძიის ქვაბთა ანსამბლის ცალკეულ უბნებზე წარმატებით მიმდინარეობს გამაგრებითი სამუშაოები. ამის შედეგად ცენტრალურ ნაწილში არათუ მრავალსართულიანი ქვაბსაცხოვრისები გადაურჩა ნგრევას, არამედ საფუძველი შეიქმნა თვით სამრეკლოს გამაგრებისა და აღდგენის წამოსაწყებადაც.

ქართული კულტურის ეს ძეგლები, ე. ი. კლდეში ნაკვეთი ნაგებობანი, რომელთა წარმოშობა-განვითარება სხვა ძეგლების პარალელურად მიმდინარეობდა, არა ერთი კარდინალური საკითხის წარმატებით გადაწყვეტის შესაძლებლობას იძლევა. ამიტომ, ვფიქრობთ, დადგა დრო, რომ ჩვენი საზოგადოება მათ განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდოს. ურიგო არ იქნება ის ცასამაგრებელი ღონისძიებანი, რაც ვარძიაში ტარდება, სხვა ძეგლებზეც გვენახა და ამგვარად კეთილ ტრადიციად გადაგვექცია.

მესხეთ-ჯავახეთის სხვა ქვაბებიდან ასეთი ყურადღება პირველ რიგში ვანისა და სამსარის ქვაბებს ესაჭიროება, რომლებიც ჭეშმარიტად სავალალო ყოფაში არიან. სრულიად გაპარტახებულია სამსარის ქვაბები და მისი შესანიშნავი კლდეში ნაკვეთი გუმბათიანი ტაძარი, რომლის წარწერებიც თავიანთი შინაარსითა და პალეოგრაფიული თავისებურებებით ფრიად დიდი მნიშვნელობის არიან, ხოლო მოუვლელობის გამო დაღუპვა მოელით და ეს მაშინ, როცა მათ, სულ უკანასკნელი, ათასი წლის სიშორიდან მაინც მოუტანიათ ჩვენს დრომდე სამშობლოს საკეთილდღეოდ შორეულ წინაპართა გულმოდგინე საქმიანობის მაუწყებელი ცნობები.

არქეოლოგისა და მკვლევარის ბარს ელის ჩამოქცეული გრანდიოზული ციხე-ქალაქი თმოგვი, რომლის ნანგრევებშიც ვინ იცის რა საყურადღებო ნივთიერი თუ წერილობითი ცნობები იმარხება. იგი მიწისძვრამ დაანგრია შუა საუკუნეებშივე, მერმე აღარ განახლებულა და მან ერთგვარად დაკონსერვებული სახით მოაღწია ჩვენამდე.

საფარისა და ზარზმის — თითქმის დაუზიანებლად მოღწეული და დაცული X-XIV საუკუნეების ბრწყინვალე ხუროთმოძღვრული ანსამბლების გვერდით მესხეთ-ჯავახეთის ნატანჯ მიწაზე თვალს ჭეშმარიტად აჯადოებს ძველი ქართული არქიტექტურის დიდებული ნიმუში — კუმურდოს კათედრალი, რომელიც ჟამთა სიავისაგან დაუნდობლად არის შემუსვრილი.

შესანიშნავი ქართველი ხელოვანის ეს საუცხოო ქმნილება უხვად არის შელამაზებული ნატიფად ამოკვეთილი ძველ-ქართული დიდმნიშვნელოვანი საისტორიო წარწერებით. ამასთან ხომ ცნობილია, რომ სრულიადაც არა ვართ განებივრებული ხელმარჯვე ქართველი დიდოსტატების ვინაობისა და დიდებულ ძეგლთა აგების თარიღების ცოდნით. აქ კი, ჩვენდა საბედნიეროდ, ორივე ეს სანუკვარი ცნობა ფრიადი სიზუსტით გახლავთ გადმოცემული: იგი აშენებულია ხუროთმოძღვარ საკოცარის მიერ, ხოლო ბალავარი დადებულია სწორედ ათასი წლის წინათ, 964 წელს, „თვესა მაისსა, დღესა შაფათსა". ე. ი. ერთ-ერთი უიშვიათესი შემთხვევა გვაქვს დიაღაც საიშვიათ იუბილეს თანდასწრებისა. და მართლაც, რა კარგი იქნებოდა შესაფერი ღირსეული ზეიმით აღგვენიშნა ეს სახელო თარიღი. მით უმეტეს, ზოგიერთ მოკავშირე რესპუბლიკაში უკვე ჩინებულ ტრადიციად იქცა ასეთი ღონისძიებანი.

მერედა რა დღეშია ამჟამად ეს ჩვენი დიდებული იუბილარი? მართალია, გარს გალავანი არტყია, მაგრამ თვით ტაძრის შიგნით და გარეთ გულსატკენი უწესრიგობა და არევდარეულობა სუფევს — გუმბათისა და კედლების ჩამოშლილი ნაწილები ერთმანეთშია ალუფხული. ჯერ კიდევ შერჩენილ თაღებს, კედლებსა და მათთან ერთად წარწერებს ულმობლად აზიანებს ავდარი.

ერთი სიტყვით, გულისყურიანი, მოსიყვარულე მომვლელის ხელი აკლია ამ ძეგლს და ბევრ სხვასაც. ჩვენი — მთელი საზოგადოებრიობის ვალია რაც შეიძლება დროულად მივაქციოთ ყურადღება და აქამდე რაც მოღწეულია, იმას მაინც გულდადებით ვუპატრონოთ. სხვა რომ არა იყოს რა, განა რამდენი ძეგლი მოიპოვება ჩვენში, რომ ასეთი, ჭეშმარიტად დიდი ხელოვნების ნიმუში იყოს და თანაც, არა სათუო, ათას წელიწადს მოითვლიდეს.

მესხეთ-ჯავახეთის ბრწყინვალე საისტორიო ძეგლებს უეჭველად მეტი ყურადღება ესაჭიროება. *სიამოვნებით ვუჭერთ მხარს „იუნესკოს" საუცხოო თაოსნობას კულტურის ძეგლთა დაცვის საერთაშორისო წლად 1964 წლის გამოცხადების შესახებ და მიგვაჩნია, რომ ამ კეთილშობილურ საქმეში სწორედ ერთ-ერთი საგულისხმო წვლილი იქნებოდა მესხეთ-ჯავახეთის კლდეში ნაკვეთ ძეგლთა მოვლა-პატრონობის გაუმჯობესება და კუმურდოს კათედრალის ათასი წლის იუბილეს გამართვა.*

ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე პროფესორი **ვ. ბერიძე**, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომლები, მეცნიერებათა კანდიდატები **ალ. გამყრელიძე**, **გ. გაფრინდაშვილი**, **ალ. კალანდაძე**, **გ. ლომთათიძე**, **ნ. უგრეხელიძე**, საქართველოს მთამადნეულის ტრესტის მმართველი **ი. ბოგიტიძე**, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი **შ. ონიანი**, პროფესორი **ნ. ძიძიშვილი**, სპეციალური სამეცნიერო-სარესტავრაციო სახელოსნოს დირექტორი **ლ. ხიმშიაშვილი**, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სწავლული მდივანი **ა. ჯავრიშვილი**.

*მეტი ყურადღება მესხეთ-ჯავახეთის კულტურის ძეგლებს!*

# სიყვარულის დიდ გზაზე

2-12 ოქტომბერი

უკრაინული ლიტერატურის დეკადა საქართველოში

მეცხრე დღე

[illegible]

...ბაზე ლაპარაკობენ აგრეთვე ი. აბაშიძე და ს. ჭილაია. ისინი მხურვალედ მიესალმებიან მიკოლა ბაჟანს, მისი დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით. ი. აბაშიძე ამბობს, რომ საქართველოს ისეთ გულითად მეგობართა შორის, როგორიც არის ნ. ტიხონოვი, იუვენ ნ. ზაბოლოცკი, ბ. პასტერნაკი და სხვანი, ჩვენ სიამაყით ვახსენებთ მიკოლა ბაჟანის სახელს.

[illegible] ...საც საჩუქრად დაუტოვეს ტარას შევჩენკოს თხზულებათა კრებული.

დღეს დეკადის მონაწილენი ქ. მახარაძის მშრომელებს ეწვევიან.

ვლ. ალფენიძე.



# ძმობის დღესასწაული

თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ უკრაინული ლიტერატურის დეკადა საქართველოში გასცდა ლიტერატურის ფარგლებს და იქცა ჩვენი ხალხების, ჩვენი სოციალისტური ერების ძმობის დღესასწაულად.

მართალია, მე, ისევე როგორც ბევრი უკრაინელი, კარგად ვიცნობ საქართველოს და უღრმესი პატივისცემით ვეპყრობი თქვენს ძველსა და ახალ კულტურას, მაგრამ ამჯერად რომ იტყვიან, მეორედ აღმოვაჩინე ეს მშვენიერი კუთხე.

დავინახე მისი ამაღელვებელი სილამაზე, რომელიც ასე შერწყმულია ჩვენს მიმართ ძმური გრძნობების გამოვლინებასთან.

სიკეთე, სითბო, გულგახსნილობა — ყველაფერი ეს გვხვდება ყოველ ნაბიჯზე, ყოველ გზაზე. ამ გზას სამართლიანად ვუწოდეთ ძმობის გზა.

ხატოვნად თუ ვიტყვით, ჩვენ ვმოგზაურობდით საუკუნეებში და აწმყოში, წარსულიდან გვესმოდა ჰუმანიზმის მაღალი სიმღერები, გვატკბობდა თანამედროვე საბჭოთა საქართველოს შრომის გუგუნი.

ამ გზაზე ჩვენ თითქოს შევხვდით სამეგობროდ ხელგაშლილ დავით გურამიშვილს, ტარას შევჩენკოს, აკაკი წერეთელს, ლესია უკრაინკას და საუკუნეებით შედუღაბებული ჩვენი ორი ხალხის სხვა სახელოვან შვილებს.

ჩვენ აღგვაფრთოვანებდა იმის შეგნება, რომ ახალი, თანამედროვე თაობა კვლავაც ამჟღავნებს ქართველი ხალხის საუკეთესო რაინდულ თვისებებს — ვაჟკაცობას, შემართებას, მოძმე ხალხებისადმი ერთგულებას.

ვხედავდით ქართველ ქალს, რომელიც თავისი ნაზი თითებით მწვანე ოქროს ბარაქას ქმნიდა, ვხედავდით ადამიანებს,

[illegible]

ოლეს გონჩარი,

[illegible]

## ვიტალი კოროტიჩი

# გმირობა

არ დაგიდევენ ჩინ-მედლებს სულაც,
არ დაეძებენ დიდების წყაროს...
ყველა სამშობლოს მერმისზე ზრუნავს,
ყველა ერთურთის სიცოცხლით ხარობს.
მიდიან მშვიდად, მიდიან მარდად,
არც რას ითხოვენ, არც რამეს წერენ...
და მიაჩნიათ უბრალო ამბად
ის, რაც გმირობად იქცევა მერე.

თარგმანი მ. ფოცხიშვილისა.



# ზაი ჟივე, საქართველო!

ნახულმა და განცდილმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. საბჭოთა საქართველომ ფიანდაზად გადაგვიშალა თავისი გულისკარი და სიყვარულის დაუშრეტელი გრძნობით აგვავსო. ყველგან, სადაც კი ფეხი დავდგით, თვალნათლივ ვხედავდით რესპუბლიკის ზრდასა და აყვავებას სახალხო მეურნეობის, კულტურის ყველა დარგში. რაოდენ წინ წასულა თქვენი ლამაზი ქვეყანა!

ზღვა სიხარულის მორევში ვართ დეკადის მონაწილენი, დიდი სიამოვნება მოგვანიჭა შრომისმოყვარე ადამიანებთან შეხვედრამ. ვნახეთ, გავიცანით ისინი, რომლებიც დოვლათს ქმნიან, ქედავენ ახალ ცხოვრებას — ჩვენს საერთო საქმეს.

გულში იწერება სტრიქონები, რომლებსაც შინ გადავიტან ქაღალდზე. ახლა კი მხოლოდ ერთს ვიტყვი: გულითადი მადლობა ქართველ ხალხს, მადლობა საბჭოთა საქართველოს მთავრობას, რომ ესოდენ დიდად დააფასეს უკრაინელი ძმები. შინ ვბრუნდებით დაუვიწყარი შთაბეჭდილებით და თან მიგვაქვს ძვირფასი ჯილდო.

ვასილ კოზაჩენკო.

# თეატრი მეგობრობის ხიდია

## უკრაინული დრამატურგია ქართულ სცენაზე

ქართულ საბჭოთა სცენაზე უკრაინული დრამატურგიის განხორციელებას მტკიცე საფუძველი ჩაუყარა კოტე მარჯანიშვილმა. მან პირველად 1930 წელს დადგა უკრაინელი მწერლისა და დრამატურგის მიკოლა კულიშის „კომუნა ველზე“ (რეჟისორი ე. ღოღობერიძე, მხატვარი თ. აბაკელია).

კოტე მარჯანიშვილი დიდი სიყვარულით ეკიდებოდა მოძმე ხალხების დრამატურგიას და მათი მიხედვით შესანიშნავ სცენურ ნაწარმოებებს ქმნიდა. ამას ადასტურებს მის მიერვე მომდევნო სეზონში დადგმული ი. მიკიტენკოს „ანათეთ, ვარსკვლავნო“ (რეჟისორი ს. ჭელიძე, მხატვარი ე. ახვლედიანი). სპექტაკლში მონაწილეობდნენ მარჯანიშვილის თეატრის საუკეთესო ძალები: ვ. ანჯაფარიძე, შ. ღამბაშიძე, ალ. ჟორჟოლიანი, პ. კობახიძე, ც. წუწუნავა.

მტკიცედ ჩაყრილ საფუძველზე უკრაინული დრამატურგიის ნაწარმოებთა მიხედვით სპექტაკლების შექმნა ქართული საბჭოთა თეატრის ტრადიციად იქცა. მალე 1934 წელს რუსთაველის სახელობის თეატრში ივანე კოჩერგას „დროის მასტერი“ („მესაათე და ქათამი“) დაიდგა. სპექტაკლი გონებამახვილურად იყო გადაწყვეტილი რეჟისორ კ. პატარიძისა და მხატვარ ს. ქობულაძის მიერ.

„მაისტერის“ დადგმიდან გავიდა მხოლოდ სამიოდე დღე, და კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა ალექსანდრე კორნეიჩუკის „ესკადრის დაღუპვა“ წარმოადგინა. ნაწარმოები სავსეა მძაფრი დრამატურგიული სიტუაციებით. უკრაინის სამოქალაქო ომი, წითელი მეზღვაურების ბრძოლა ბანდიტ პეტლიურასთან, უკრაინული ნაციონალიზმისა და შოვინიზმის დამქაშებთან და სხვ. მეტად საინტერესო თეატრალურ მასალას იძლევა, და მარჯანიშვილის თეატრმაც უაღრესად რეალისტური და მხატვრულად სრულფასოვანი სპექტაკლი შექმნა.

სპექტაკლის დამდგმელმა რეჟისორმა დ. ნაკაშიძემ ღრმად გაიაზრა ალ. კორნეიჩუკის ისტორიული ეპოპეა, რომელიც ასე ოსტატურად არის შექმნილი.

სპექტაკლის მხატვრული გაფორმება ეკუთვნოდა ცნობილ მხატვარს, პროფესორ დავით კაკაბაძეს, რომელიც თავისი ამ ნამუშევრით ყოველმხრივ ეხმარებოდა აქტიორთა შემოქმედების გაშლას.

მარჯანიშვილის თეატრის შემდეგ ეს საინტერესო პიესა საქართველოს რაიონულ თეატრებშიც დაიდგა.

ამის შემდეგ უკრაინული დრამატურგიიდან ქართულ საბჭოთა სცენაზე განხორციელდა ალ. კორნეიჩუკისავე პიესა „პლატონ კრეჩეტი“, რომელიც პირველად 1934 წელს დაიდგა ქ. კიევში, ფრანკოს სახელობის თეატრში. ერთი წლის განმავლობაში „პლატონ კრეჩეტი“ 15 ენაზე ითარგმნა. ნიჭიერად გახსნილი სიუჟეტისა და დროულად მიგნებული თემის (თანამედროვეობიდან მოსული ახალი ადამიანები, ზრუნვა ადამიანზე, მის მომავალზე, საბჭოთა კადრების აღზრდაზე, მათ ყოველმხრივად შესწავლაზე) გამო იგი აღიარებულ იქნა საბჭოთა დრამატურგიის თვალსაჩინო მიღწევად.

საქართველოში ეს პიესა 1935 წლის გაზაფხულიდან თავის რეპერტუარში შეიტანა მაშინ ე. წ. „საქართველოს მოძრავმა სანაგიტთეატრმა“. სპექტაკლის დადგმა რეჟისორ ვიქტორ ნინიძეს ეკუთვნოდა. ამ თეატრის რეპერტუარში „პლატონ კრეჩეტი“ რომ ერთ-ერთი საუკეთესო დადგმა იყო, ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ შემდეგში მოძრავმა სანაგიტთეატრმა თავისი მუშაობა სტაციონარულ შენობაში ამ სპექტაკლით დაიწყო და პირველი სეზონის საზეიმო განწყობილება უკრაინელი დრამატურგის მადლიანი პიესით აღინიშნა.

1935 წლის 9 დეკემბერს კი იგი რუსთაველის სახელობის თეატრმა წარმოადგინა. სპექტაკლმა დიდი პოპულარობა მოიპოვა (სპექტაკლის ავტორები: რეჟისორი შ. აღსაბაძე, მხატვარი ს. ქობულაძე, კომპოზიტორი ა. ტუსკია). აკ. ხორავამ და აკ. ვასაძემ სპექტაკლში თანამედროვე ადამიანთა მაღალმხატვრული სახეები შექმნეს.

იმ დროიდან მოყოლებული დღემდე „პლატონ კრეჩეტი“ იდგმება ჩვენი რესპუბლიკის როგორც პროფესიულ, ისე სახალხო თეატრებშიც.

რუსთაველის თეატრმა დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით მოჰკიდა ხელი დასადგმელად უკრაინული დრამატურგიის ისეთ საუკეთესო ნაწარმოებს, როგორიც არის კორნეიჩუკის „ბოგდან ხმელნიცკი“, რომელიც ქართველმა მაყურებელმა 1940 წლის 5 მარტს იხილა.

სპექტაკლი შედეგი იყო შემოქმედებითი შეჯიბრებისა, რომელიც რუსთაველის თეატრსა და კიევის ფრანკოს სახელობის უკრაინულ თეატრს შორის მიმდინარეობდა.

რუსთაველის თეატრი 1939 წლის ზაფხულში გასტროლებზე იყო კიევში. უკრაინის დედაქალაქის ხელოვნების მუშაკებთან მეგობრულ შეხვედრაზე თბილისის თეატრმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია კიევის ივანე ფრანკოს სახელობის თეატრი. ამ შეჯიბრების გამო ფრანკოელებმა განაცხადეს: „მზიური საქართველოს თეატრალური ხელოვნების ოსტატთა გამოწვევა ივანე ფრანკოს სახელობის თეატრის მუშაკებმა უდიდესი აღფრთოვანებით მივიღეთ. საქართველოს წამყვან თეატრთან — რუსთაველის სახელობის თეატრთან შეჯიბრება განამტკიცებს ქართველი და უკრაინელი ხალხების მეგობრობასა და კულტურულ კავშირს, შექმნის მყარ საფუძველს მისი შემდგომი განვითარებისათვის“. ამ შეჯიბრების საპასუხოდ უკრაინელები „გიორგი სააკაძეს“ ამზადებდნენ დასადგმელად.

რუსთაველის თეატრმა ამ პიესის საფუძველზე შექმნა მაღალი იდეურ-მხატვრული მნიშვნელობის სპექტაკლი და მკვეთრად გამოავლინა ავტორის ძირითადი მიზანდასახულობა. იგი დადგა აკაკი ვასაძემ (მხატვარი ირაკლი გამრეკელი, კომპოზიტორი რევაზ გაბიჩვაძე), ხოლო ბოგდან ხმელნიცკის როლი უდავოდ დიდი მოვლენა იყო გ. დავითაშვილის შემოქმედებაში.

საბჭოთა ქართულმა თეატრმა, განაგრძო რა კარგად დაწყებული ტრადიცია უკრაინული საბჭოთა დრამატურგიის გასცენიურებისა, 1950-1951 წლების სეზონში სოხუმის, ქუთაისისა და ცხინვალის მაყურებელს უჩვენა ა. კორნეიჩუკის ცნობილი ლირიკული კომედია „ძახველის ჭალა“, რომელიც ავტორს დაწერილი აქვს დიდი უბრალოებით და სიმართლით.

ქართულ სცენაზე ასეთივე წარმატებით დაიდგა უკრაინელი მწერლის იაროსლავ გალანის პიესა „გარიჟრაჟზე“, რომელიც მაყურებელმა ნახა მარჯანიშვილის სახელობის თეატრში რეჟისორ ლ. იოსელიანის დადგმით.

სპექტაკლში ვარვარა პეტრიჩის როლი განასახიერა ვერიკო ანჯაფარიძემ. ამ სახით მან კიდევ ერთი საინტერესო სიტყვა თქვა თავის შემოქმედებითს ბიოგრაფიაში. დეტალების უწვრილმანესი დამუშავებით გამოირჩეოდა მოხუცი აგრონომის მიკოლა ვორკალუკის სახე სერგო ზაქარიაძის შესრულებით. სესილია თაყაიშვილის (ოლენა), გიორგი შავგულიძის (ლუკა), მედეა ჯაფარიძის (პარასკა) და აკაკი კვანტალიანის (შტეფან) მიერ ამ სპექტაკლში შექმნილი სახეები ლაპარაკობენ მსახიობთა მაღალ პროფესიონალიზმზე და ოსტატობაზე.

საბჭოთა კავშირის ყველა მოძმე ხალხებთან ერთად ქართველმა ხალხმაც ზეიმით აღნიშნა რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავი, როგორც საბჭოთა ხალხების საერთო ეროვნული დღესასწაული.

ამ ისტორიულ თარიღს ფართოდ გამოეხმაურნენ საქართველოს თეატრებიც. ასეთი იყო, მაგალითად, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის მიერ ამ დიდებული თარიღისადმი მიძღვნილი სპექტაკლი „გვარს არ ვასახელებთ“. უკრაინელი დრამატურგის ვ. მინკოს ეს კომედია (რეჟისორი რ. ჭიაურელი, მხატვარი ირ. შტენბერგი) შეიცავს იმ ჯანსაღ კრიტიკას, რომელიც გულწრფელად აცინებს მაყურებელს.

მაყურებელს დღემდე კარგად ახსოვს ამ სპექტაკლში ვერიკო ანჯაფარიძის, ვასო გოძიაშვილის, მარინე თბილელის და ელენე ყიფშიძის მიერ შექმნილი სახეები.

ამავე თარიღთან დაკავშირებით იმავე პიესის დადგმა ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრში რეჟისორმა ვ. ყუშიტაშვილმა განახორციელა.

ქართულ საბჭოთა თეატრში დღემდე დიდი სიყვარულით სარგებლობს შესანიშნავი უკრაინული დრამატურგია, რომელსაც მაყურებელი დიდი მოწონებით ხვდება და რომელმაც ქართული საბჭოთა თეატრალური კულტურის საგანძური მნიშვნელოვნად გაამდიდრა.

ნინო შვანგირაძე

* * *



სურათზე, რომელიც გადაღებულია 1940 წელს თბილისში, თქვენ ხედავთ მწერალ ალ. კორნეიჩუკს (მარცხნივ), საქართველოს სსრ სახალხო არტისტს გ. დავითაშვილს (ბოგდან ხმელნიცკის როლში) და სსრ კავშირის სახალხო არტისტს ა. ვასაძეს.

# გულითადი შეხვედრები

დრეზდენი, 9 ოქტომბერი. საკდესის კორესპონდენტი ე. ბაშმაჩნიკოვი გვატყობინებს:

დრეზდენის მცხოვრებნი დღეს გულითადად მიესალმებოდნენ ძვირფას სტუმრებს — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ვ. ულბრიხტს და საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მეთაურს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს, ცენტრალური კომიტეტის მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს.

დრეზდენის ოლქის საზღვარზე სტუმრებს შეხვდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. კროლიკოვსკი. ქალაქში ჩამოსვლის შემდეგ სტუმრები ეწვივნენ დრეზდენის ერთ-ერთ მსხვილ საწარმოს — ელექტრომანქანების ქარხანას „ზაქსენვერკს“.

ქარხნის დათვალიერების დროს ლ. ი. ბრეჟნევმა და ვ. ულბრიხტმა ჩანაწერები გააკეთეს სოციალისტური შრომის ბრიგადების დღიურებში და ახალი შრომითი წარმატებები და პირად ცხოვრებაში ბედნიერება უსურვეს მუშებს. ლ. ი. ბრეჟნევმა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის სახელით სამახსოვრო საჩუქრები გადასცა საწარმოს მუშაკებს.

დრეზდენი, 9 ოქტომბერი. (საკდესი). ნაშუადღევს აქ გაიმართა გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის მასობრივი მიტინგი.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლის დამთავრების შემდეგ შეკრებილთ გამართეს მქუხარე ოვაცია, გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობას!“, „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს!“ მიტინგის მონაწილენი გაიძახოდნენ: „ფროინდშაფტ!“ — „მეგობრობა!“.

შემდეგ მიკროფონთან მიდის გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ვ. ულბრიხტი.

როცა ვ. ულბრიხტმა დაამთავრა სიტყვა, კვლავ გაისმა შეძახილები გერმანია-საბჭოთა კავშირის ურღვევი მეგობრობის პატივსაცემად.

მიტინგი დამთავრდა მუშათა რევოლუციური სიმღერით „მეგობრებო, წინ-წინ გასწით!“ ეს სიმღერა იმის მკაფიო დადასტურებაა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები ისწრაფვიან ძმური მეგობრობა განამტკიცონ საბჭოთა ხალხთან მშვიდობისა და სოციალიზმის საქმისათვის.

ვარნემიუნდე, 9 ოქტომბერი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ჩერნიშევი იტყობინება:

დღეს ვარნემიუნდეში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრთა ჯგუფი, რომელიც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში იმყოფება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 15 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით.

სტუმრებმა მონაწილეობა მიიღეს გემსაშენი საწარმოს „ვარნოვ-ვერფტის“ კოლექტივის მიტინგში. საწარმოს კოლექტივის სახელით სტუმრებს მიესალმა პარტიული ორგანიზაციის მდივანი ბალცე. მან აღნიშნა, რომ „ვარნოვ-ვერფტი“ გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განსახიერებაა. საბჭოთა ადამიანებმა დიდი დახმარება გაგვიწიეს ამ საწარმოს შექმნაში. ამ ნავსაშენში აგებული 60-ზე მეტი გემი საბჭოთა კავშირის ალმით დაცურავს.

საბჭოთა დელეგაციის სახელით კ. ტ. მაზუროვმა დამსწრეთ მიულოცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 15 წლისთავი.

ამხ. მაზუროვმა საწარმოს კოლექტივს გადასცა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ბიუსტი, ატომმავალ „ლენინის“ მოდელი და რადიოლა, რომელიც მინსკის მუშებმა დაამზადეს.

შეკრებილთა სახელით გერჰარდ გრიუნებერგმა დიდი წარმატებანი უსურვა კომუნიზმის მშენებლობაში საბჭოთა ხალხს, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას და ნ. ს. ხრუშჩოვს.

# „ამერიკას შეუძლია გაანადგუროს გოლდუოტერიზმი“

ნიუ-იორკი, 10 ოქტომბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტურმა პარტიამ გამოაქვეყნა განცხადება ახლანდელი საარჩევნო კამპანიის საკითხებზე.

სათაურით „ამერიკას შეუძლია გაანადგუროს გოლდუოტერიზმი“ გაზეთ „უორკერში“ დაბეჭდილ განცხადებაში, კომპარტია ხაზგასმით აღნიშნავს იმ სერიოზულ საფრთხეს, რომელსაც ქმნიან ამერიკის შეერთებული შტატებისათვის რესპუბლიკური პარტიისაგან პრეზიდენტობის კანდიდატის გარშემო გაერთიანებული ძალები.

„ყალიბდება დიდი კოალიცია, ნათქვამია განცხადებაში, რომელსაც შეუძლია მოსპოს გოლდუოტერიზმის საფრთხე. იგი შეიცავს თითქმის ყველა ზანგს, ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე ერთიან პროფკავშირულ მოძრაობას, როგორც კონსერვატორული, ისევე ლიბერალი რესპუბლიკელებისა და დემოკრატების მნიშვნელოვან ფენებს, პროგრესულ ელემენტებს, იმათ, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა და ვინც ცდილობს დაიცვას დემოკრატია და თვითეული ამერიკელისათვის ხელმისაწვდომი გახადოს თავისუფლება“.

## ვახტანგოვის სახელობის თეატრი სოფიაში

სოფიაში ივან ვაზოვის სახელობის სახალხო თეატრის სცენაზე გაიმართა მოსკოვის ვახტანგოვის სახელობის თეატრის კოლექტივის პირველი გამოსვლა. ნაჩვენები იყო ა. საფრონოვის პიესა „გათხოვილი მზარეული“. საბჭოთა მსახიობების შესანიშნავმა შესრულებამ მაყურებელთა მქუხარე ტაში გამოიწვია.

## მიწისქვეშა ატომური აფეთქება ამერიკაში

ნიუ-იორკი, 9 ოქტომბერი. (საკდესი). ამერიკის ატომური ენერგიის კომისიამ გამოაცხადა, რომ დღეს ნევადის შტატის პოლიგონზე მოეწყო მორიგი მიწისქვეშა ატომური აფეთქება.

## ერთხმად ურჩიეს

ნიუ-იორკი, 9 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს უშიშროების საბჭომ ერთხმად ურჩია გენერალურ ასამბლეას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მიიღოს მალავი (ნიასალენდი) — აფრიკის 34-ე დამოუკიდებელი სახელმწიფო.

# ულირსი საქციელი

პარიზი, 10 ოქტომბერი. (საკდესი). არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და ალჟირის ელჩებმა კონგოში (ლეოპოლდვილი), რომლებიც ჩავიდნენ კონგოში (ბრაზავილი), პრესის წარმომადგენლებს გააცნეს საქმის ნამდვილი ვითარება ბლოკადის დროს, რომელიც ჩომბეს ჟანდარმებმა მოუწყვეს ორ საელჩოს ლეოპოლდვილში.

როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, ელჩებმა, კერძოდ, განაცხადეს, რომ სამი დღის განმავლობაში საელჩოს შენობებს გარს ერტყნენ კონგოელი ჟანდარმები. დიპლომატიური მუშაკები და მათი ოჯახების წევრები მთელი ამ ხნის მანძილზე მოწყვეტილი იყვნენ გარე სამყაროს. შეიარაღებული ჟანდარმები არც ერთ თანამშრომელს არ აძლევდნენ ნებას დაეტოვებინათ საელჩოს შენობა. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში საელჩოებს არ ამარაგებდნენ კვების პროდუქტებით.

# უცხოეთის ამბები

## დღეები და მოვლენები

## გაუშვეს ატომური ბატარეის მაკეტი

ნიუ-იორკი, 10 ოქტომბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების ატომური ენერგიის კომისიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ 8 ოქტომბერს უოლოპსის კუნძულიდან განხორციელდა ატომური ბატარეის მაკეტის გაშვება, რაც ნავარაუდევია სუბორბიტული გაფრენისა და დედამიწაზე დაბრუნებისათვის.

როგორც განცხადება ცხადყოფს, ეს გაშვება შედის იმ ექსპერიმენტთა სერიაში, რომელთა მიზანია გამოარკვიონ ენერგიის ატომური წყაროების შენარჩუნების შესაძლებლობა კოსმოსში.

# რაზე წერდა გუშინ უცხოეთის პრესა

საზღვარგარეთის გაზეთები კვლავ დიდ ყურადღებას უთმობენ მიუმხრობელი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების კონფერენციის მუშაობას. გაზეთები აღნიშნავენ, რომ საერთო დისკუსიაში, რომელიც კაიროში დამთავრდა, კონფერენციაზე წარმოდგენილი თითქმის ყველა ქვეყნის დელეგაციათა მეთაურებმა მიიღეს მონაწილეობა. ხაზგასმულია, რომ კონფერენცია მიმდინარეობს საერთაშორისო ასპარეზზე მიუმხრობელი ქვეყნების მზარდი როლის ნიშნით.

ამერიკის გაზეთები საიგონიდან მიღებულ ინფორმაციაში გამოჰყოფენ სამხრეთ ვიეტნამის რეჟიმის მეთაურის გენერალ ქხანის პროვოკაციულ განცხადებას, რომ სამხრეთ ვიეტნამის თვითმფრინავებს, რომლებსაც, როგორც ცნობილია, შეერთებული შტატები აწვდიან საიგონის რეჟიმს, შეუძლიათ ბომბები დაუშინონ ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ჩინეთს.

ინგლისის „გარდიანი“, „ფაინენშლ ტაიმსი“, „დეილი მირორი“ და სხვა გაზეთები ბევრ ადგილს უთმობენ ცნობებს ლონდონის ბირჟაზე აქციების კურსის მკვეთრი დაცემის შესახებ. მიაჩნიათ, აქციების კურსის დაცემა დაკავშირებულია იმასთან, რომ კონსერვატიული პარტიის შანსები უარესდება პარლამენტის მომავალი 15 ოქტომბრის არჩევნებში. „ტაიმსი“ და „დეილი ტელეგრაფი“ უკმაყოფილობას გამოთქვამენ, რომ მთელი რიგი წინასაარჩევნო მიტინგების მონაწილენი ხელს უშლიდნენ პრემიერ-მინისტრსა და კონსერვატორთა სხვა თვალსაჩინო მოღვაწეებს გამოსვლებში.

იაპონიის გაზეთი „ასახი“ წერს, რომ ამერიკის სამხედრო ხელისუფალნი რიუკიუს კუნძულზე ჩაერივნენ სამოქალაქო ადმინისტრაციის მეთაურის დანიშვნის საქმეში. ამ დანიშვნის პროცედურა, აცხადებს გაზეთი, ეწინააღმდეგება რიუკიუს მოსახლეობის ინტერესებს, რომელიც კუნძულისათვის თვითმმართველობის უფლების მინიჭებას მოითხოვს.

ინდოეთის გაზეთები იუწყებიან, რომ ინდოეთის საგეგმო კომისიამ დაამთავრა მუშაობა მეოთხე ხუთწლიანი გეგმის პროექტის შედგენაზე.

პარიზის პრესა იტყობინება საავტომობილო მრეწველობის მუშათა გაფიცვებისა და მიტინგების შესახებ.

პოლონეთის „ტრიბუნა ლუდუ“ და „გლოს პრაცი“ აქვეყნებენ პოლონეთის პროფკავშირების დელეგაციის მეთაურის ი. ლოგა-სოვინსკის შთაბეჭდილებებს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში დელეგაციის ყოფნის შესახებ.

(საკდესი).

საზღვარგარეთულ პრესა

## მალტის თხოვნა

ნიუ-იორკი, 10 ოქტომბერი. (საკდესი). მალტამ, რომელიც მიმდინარე წლის სექტემბერში დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა, ითხოვა მიიღონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ეს ნათქვამია მალტის პრემიერ-მინისტრის ოლივიეს წერილში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის უ ტანისადმი, რომელიც გუშინ გამოქვეყნდა.

# გადამწყვეტი ეტაპი

კაირო, 10 ოქტომბერი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტები ვ. დუგანოვი და პ. ეგოროვი იუწყებიან: მიუმხრობელი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების კონფერენცია დასასრულს უახლოვდება. გუშინ საღამოს დამთავრდა საერთო დისკუსია, და დღეს კონფერენცია შეუდგება იმ რეზოლუციების განხილვასა და დამტკიცებას, რომლებიც საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირმა მოამზადა. გუშინდელ საღამოს სხდომაზე სიტყვები წარმოთქვეს საუდის არაბეთის პრემიერ-მინისტრმა ფეისალმა, ტოგოს, მექსიკის, ვენესუელისა და ანგოლის დელეგაციათა მეთაურებმა, აგრეთვე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლებმა. საერთო დისკუსიის დროს, რომელსაც მძაფრი ანტიიმპერიალისტური ხასიათი ჰქონდა, თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე თავიანთი თვალსაზრისი გამოთქვეს სახელმწიფოთა და მთავრობათა ყველა მეთაურმა, აგრეთვე სხვა დელეგაციათა ხელმძღვანელებმა, რომლებიც კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობენ. საერთო დისკუსიამ ცხადყო, რომ მიუმხრობელი ქვეყნები ერთად ისწრაფვიან იბრძოლონ საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებისათვის, ატომური ომის მუქარის წინააღმდეგ, იმპერიალიზმის საბოლოო აღმოფხვრისა და კოლონიური ჩაგვრის ლიკვიდაციისათვის. დისკუსიამ ჩაიარა მშვიდობიანი თანაარსებობის იდეების ზეიმისა და ბლოკებში მონაწილეობის მიუღებლობის პოლიტიკის ნიშნით.

## მარიონეტის მუქარა

ნიუ-იორკი, 10 ოქტომბერი. (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამის პრემიერ-მინისტრმა ნგუენ ქხანმა კვლავ წამოაყენა სტრატეგიული წინადადება, რომ განაახლებენ საჰაერო თავდასხმებს ჩრდილოეთ ვიეტნამზე, წერს ამერიკის გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“.

„ჩვენ გვაქვს საშუალებანი ჩრდილოეთ ვიეტნამს დავუშინოთ ერთი, ორი ან სამი ტონა წონის ბომბი“, — ტრაბახით განაცხადა ქხანმა.

## აჯანყებულებმა იერიში მიიტანეს აეროდრომზე

ლონდონი, 10 ოქტომბერი. (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ გუშინ კონგოს აჯანყებულთა რაზმებმა იერიში მიიტანეს ქალაქ ლოჯის აეროდრომზე.

ლოჯა მდებარეობს კონგოს (ლეოპოლდვილი) ცენტრალურ ნაწილში.

# მოკლე ცნობები

ბრაზილიაში პრეზიდენტ კასტელო ბრანკოს მთავრობამ „წმენდის“ მთელ პერიოდში, რომელიც ცხრა აპრილიდან რვა ოქტომბრამდე გრძელდებოდა, სამუშაოდან დაითხოვა 997 სამხედრო და სამოქალაქო მოხელე. ამავე პერიოდში 651 კაცს ჩამოართვეს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები. მათ შორის არიან რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტები ჟუსელინო კუბიჩეკი, ჟანიო კუადროსი და ჟოაო გულარტი.

კოკისპირულმა წვიმამ ჩრდილოეთ კაროლინის შტატის აღმოსავლეთ ნაწილში დიდი წყალდიდობა გამოიწვია. ადიდებულმა მდინარეებმა დატბორეს ვრცელი რაიონები. დატბორილია ათასობით ჰექტარი ნათესი. წყალმა წალეკა რამდენიმე დასახლებული პუნქტი. ასობით ოჯახი უსახლკაროდ დარჩა არის მსხვერპლი. აღნიშნავენ, რომ ეს ყველაზე დიდი წყალდიდობაა ამ რაიონში უკანასკნელი 20 წლის მანძილზე.



# დაუვიწყარი დღეები

გულგახსნილი, მართლაც ზღაპრული სტუმართმოყვარეობით გვხვდება ყველგან რუსთაველის მშობელი ქვეყანა. ჯერ კიდევ არაგვის ხეობის სილამაზემ ჩაგვწვა, ვტკბებოდით მცხეთით, საგურამოთი, ფასანაურით, შემდეგ კახეთმა აგვანთო თავისი მშვენიერი ზვრებით, ალაზნის ველის უბადლო სიტურფით, სურამმაც მოგვგვარა სიხარულის ცრემლები. ვნახეთ ჩვენი დიდი თანამემამულის ლესია უკრაინკას ძეგლი.

წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩვენზე ინდუსტრიულმა ქუთაისმა. როგორ გაზრდილა უძველესი ქალაქი! განგვაცვიფრა გელათმა, ბაგრატის ტაძარმა. მოგვხიბლა აყვავებული კოლხეთის ჩაის პლანტაციებმა.

აფხაზეთის მშრომელებთან შეხვედრამ აღტაცების ფრთები გამოგვასხა. თავი შეგვაყვარა აჭარამ. იგი მართლაც ედემია, ნარინჯოვნებით მოოქროვილი.

არ ვიცი, როგორ გამოვთქვა, რაც ამ ტკბილი ძმობის დღეებში განვიცადეთ. დეკადის მონაწილეთა საპატიო სიგელით დაჯილდოება ჩვენი დიდი დაფასებაა. დავდივართ ქართულ მიწაზე, გულში გიზგიზებს ძმობის, სიყვარულის უქრობელი ცეცხლი.

დიმიტრი კოსარიკა.



# ტოკიოს ცის ქვეშ

**გუშინ ტოკიოში საზეიმოდ გაიხსნა XVIII ოლიმპიური ასპარეზობა**

ტოკიო, 10 ოქტომბერი. (ტელეფონით სპეც. კორ.). ...ამ ზეიმზე დიდიხანია ლაპარაკობდნენ. ამ ზეიმს მოუთმენლად ელოდნენ და როცა დადგა 10 ოქტომბერი, მთელი ტოკიო ქუჩაში გამოვიდა.

XVIII ოლიმპიური ასპარეზობის გახსნამდე დიდი ხნით ადრე ხალხით იყო გაჭედილი ეროვნული სტადიონი. „მეიძი-პარკი" ყველა მაყურებელს როდი დაიტევდა. უფრო „მოხერხებულებმა" სტადიონთან ახლომდებარე სახლის სახურავები დაიკავეს. უმრავლესობამ კი ქუჩებში ცოცხალი კორიდორი შექმნა იქ, სადაც ოლიმპიური ცეცხლის ესტაფეტის უკანასკნელი ეტაპი მიმდინარეობდა. გზა, რომელიც ოლიმპიურმა ცეცხლმა ორი თვის წინათ დაიწყო ელადის ძველ მიწაზე, აქ, ამომავალი მზის ქვეყანაში მთავრდებოდა.

...ტოკიოს დროით 14 საათია. სტადიონზე ჟღერს იკუმი დანას ოლიმპიური უვერტიურა, ჩრდილოეთის კარიდან ტრადიციის მიხედვით პირველად სტადიონზე ოლიმპიადის სამშობლოს შვილები — ბერძენი სპორტსმენები შემოდიან. შემდეგ მოდიან ავღანელები, ალჟირელები, ავსტრალიელები... ლამაზად, მწყობრად მოაბიჯებენ ბულგარელები. მოდიან და მოდიან სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები ნაირფერ ტანსაცმელში გამოწყობილნი. ყვავილები, ყველგან ყვავილებია.

მაყურებლები აღფრთოვანებული არიან. თავისუფლების კუნძულის — გმირული კუბის წარმომადგენლები იაპონურ ალმებს აფრიალებენ. ამაყად მოდიან კამერუნის წარმომადგენლები, რა ვუყოთ, რომ მხოლოდ ორნი არიან, აქ ხომ ოლიმპიური იდეალები, მეგობრობის, ძმობის, მშვიდობის იდეალები მოქმედებენ, აქ ხომ ყველანი თანასწორნი არიან.

...მოდიან მონღოლები, ჩეხოსლოვაკიელები, რუმინელები...

წითელი დროშა ამაყად ფრიალებს, წინგაწვდილი ხელებით მოაქვს იგი იური ვლასოვს. მოდიან საბჭოთა სპორტსმენები, მათ ტრიბუნები აღფრთოვანებით ეგებება.

ტრადიციის მიხედვით ალლუმს იაპონიის დელეგაცია ხურავს.

უზარმაზარი სტადიონი გაინაბა. ფანფარები ყურადღებას მოითხოვენ. მაღალ ტრიბუნაზე ორი ჭაღარა მამაკაცი ადის. სიტყვას ამბობს ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტი დანგორო იასუკავა. მას სცვლის საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ე. ბრენდეჯი.

იაპონიის იმპერატორი ხიროხიტო XVIII ოლიმპიურ თამაშებს გახსნილად აცხადებს.

ოლიმპიური ჰიმნის ხმების ქვეშ ექვს იაპონელ მეზღვაურს შემოაქვს თეთრი დროშა, რომელზედაც ხუთი რგოლია გადაჭდობილი. წუთის შემდეგ კი დროშა უკვე ფრიალებს 15 მეტრიან ანძაზე. XVII ოლიმპიური თამაშების დედაქალაქის — რომის მერი XVIII ოლიმპიური თამაშების დედაქალაქის — ტოკიოს მერს გადასცემს დროშას. სტადიონზე ამ დროს ათი ათასი ნაირფერადი ბურთი აფრინდა, მათ შესანიშნავი პანო შექმნეს ცაში.

სტადიონზე ოლიმპიური ჩირაღდნით ხელში შემორბის 19 წლის სტუდენტი იოსინორი საკაი, მას ფერფლიდან აღმდგარ მორბენალს უწოდებენ. იგი ხომ ხიროსიმას საშინელი ტრაგედიის დღეს — 1945 წლის 6 ოქტომბერს დაიბადა.

ი. საკაიმ აირბინა 163 საფეხური, უზარმაზარი კიბის ბოლოს დგას ფიალა. ერთ წუთს იგი გაჩერებულია და მაღლა აქვს აღმართული ჩირაღდანი... უკვე აინთო ოლიმპიური ცეცხლი.

ოლიმპიურ ფიცს წარმოთქვამს იაპონელი ტანმოვარჯიშე ტაკასი ონო, იგი ოთხი ოლიმპიადის მონაწილეა. იქ, სადაც სპორტსმენი ფიცს წარმოთქვამს, თავს იყრის 94 მედროშე. იგი ფიცულობს, რომ ერთგული იქნება ოლიმპიური ქარტიისა, კეთილსინდისიერად იბრძოლებს შეჯიბრებებში.

ჟღერს იაპონიის სახელმწიფო ჰიმნი, სტადიონის თავზე რვა ათასი მშვიდობის მტრედი აფრინდა. ცაში კი ხუთი რეაქტიული თვითმფრინავი სხვადასხვაფერის უზარმაზარ ოლიმპიურ რგოლებს ხაზავენ.

XVIII ოლიმპიური თამაშები დაიწყო... სპორტის 22 სახეობაში პირველობისათვის შეებრძოლებიან ერთმანეთს ხუთი კონტინენტის წარმომადგენლები.

დღეს პირველი სტარტებია.

## სსრ კავშირის პირველობაზე

**გუშინ** სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში ერთმანეთს შეხვდნენ კუიბიშევის „კრილია სოვეტოვისა" და გორკის „ვოლგის" გუნდები. მატჩი, რომელიც კუიბიშევში გაიმართა, დამთავრდა ფრედ — 1:1.

## საერთაშორისო მატჩი

**კიევში** ერთმანეთს შეხვდნენ უკრაინისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრები გუნდები. ანგარიშით 2:0 გაიმარჯვეს უკრაინელმა ფეხბურთელებმა.

## ხალხური საუნჯე

### გვიამბობს არაგვი

ზუმბერაზ მთების წვენი ვარ,
ცის და ღრუბლების ნაცვარი,
სალ კლდეთა გამონაჟონი,
ყინული მზისგან დამდნარი.
მოვქუხვარ, მოვიზვირთები
ტალღების ახმაურებით,
სახალხო შრომას ვეწევი,
ქვეყანას ვემსახურები.
ჩემი ცვრით მოვრწყე მრავალი
ბაღნარი, სახნაურები,
თან შუქს ვიძლევი, აიგო
ჩემს მკერდზე ელსადგურები...
ვარ სხვადაც გამოსადეგი,
თევზების საბუდარია,
ჩემი გემრიელ კალმახით
ქვეყანად ბევრს გაუხარია.
წინათაც ასე მოვქუხდი,
მაგრამ უსაქმოდ ვიარე.
ახლა კი ლხინიც და ჭირიც
ხალხისა გავიზიარე.
შრომის უღელი დამადგეს,
დამასაქმეს, როგორც ხარია,
ახლა ფიქრობენ — შემიკრან
ჟინვალს გასასვლელ კარია.
ზღვა დააყენონ ჩემის წყლის,
ზედ დამაცურონ ნავები,
უმძლავრეს ელსადგურისა
ავამუშაო ძრავები.
დუშეთშიც გადავიჩქეფებ,
მის ველებს დავემშვლავები,
რომ იქაც მოვრწყო მინდვრები
აქამდის მოურწყავები..

**ნიკო ბულალაური.**
დუშეთის რაიონი, სოფელი ინო.

*ეს საინტერესოა*

## წყალდიდობა რომ არ იყოს ლენინგრადში...

**ალბათ** ვერ წავიკითხავდით „სპილენძის მხედრის" დაუვიწყარ სტრიქონებს, საუკუნენახევრის წინათ რომ განხორციელებულიყო წყალდიდობისაგან ლენინგრადის დაცვის პროექტი, რომელიც ახლა წამოაყენა ჰიდროლოგიის სახელმწიფო ინსტიტუტმა. 1824 წლის წყალდიდობის დროს, რომელიც პუშკინმა აღწერა, წყალმა აიწია ოთხ მეტრზე ზევით და დატბორა მთელი ქალაქი. ასეთივე უბედურება ლენინგრადს მეორედ თავს დაატყდა უკვე ჩვენს საუკუნეში — 1924 წელს. მეცნიერთა აზრით, წყალს შეუძლია აიწიოს უფრო ზემოთ — 4,5-5 მეტრამდე!

ას წელზე მეტი ხნის წინათ დაიწყეს წყალდიდობისაგან ქალაქის დაცვის პროექტების შედგენა. მათ შორის ყველაზე პოპულარული იყო წინადადება — გადაეტიხრათ ფინეთის ყურე 22 კილომეტრიანი ჯებირით, ლისი-ნოსი-კრონშტადტ-ლომონოსოვის ხაზზე. მაგრამ ჰიდროლოგები კატეგორიულად უარყოფენ ამ ვარიანტს არა მარტო მისი სიძვირის გამო, არამედ იმიტომ, რომ ჯებირი დაარღვევს ნევის უბისა და ფინეთის ყურის წყლების ბუნებრივ გაცვლას. გადატიხრული უბანი ძალიან სწრაფად დანაგვიანდება კანალიზაციის ჩანადენით.

ჰიდროლოგიის სახელმწიფო ინსტიტუტი სხვა ვარიანტს გვთავაზობს. საჭირო არ არის რაიმე დამოუკიდებელ ნაგებობათა აგება. საჭიროა მხოლოდ სანაპირო ხაზზე, რომელსაც ახლა ქალაქის განვითარების გეგმის მიხედვით 3-3,2 მეტრ სიმაღლემდე სწევენ, აშენდეს 1,3 მეტრი სიმაღლის დამატებითი კედელი. ნევის დელტის შენაკადები უნდა გადაიტიხროს კაშხალებით, რომლებსაც ექნება კარები. ისინი წყალდიდობის დროს შეიძლება დაიკეტოს. ასეთი მთლიანი კედელი საიმედოდ დაიცავს ლენინგრადს წყალდიდობისაგან. სამშენებლო სამუშაოთა ღირებულება კი ჰიდროლოგთა წინადადებით ოთხჯერ უფრო მცირეა, ვიდრე ფინეთის ყურეში ჯებირის აგების ღირებულება.

დამატებით მდინარე ნევის საშუალო დინებაში დამცველ კედელთან უნდა შეიქმნას კაშხალი. იგი შესაძლებლობას მოგვცემს შევაჩეროთ ლადოგის წყლის მოწყდომა, როგორც ფინეთის ყურიდან ზღვის ქარის დროს, ასევე მდინარეზე ყინულის ხერგილების გაჩენის დროსაც. კაშხალი შესაძლებლობას მოგვცემს განვახორციელოთ აგრეთვე დელტის პერიოდული „რეცხვა" იმისათვის, რომ დანაგვიანებისაგან დავიცვათ მდინარე და ნევის უბე.

მეცნიერთა კომისიამ, რომელმაც ამას წინათ განიხილა ლენინგრადელი ჰიდროლოგების წინადადებანი, აღნიშნა მათი უეჭველი ღირსებანი. ჰიდროლოგიის სახელმწიფო ინსტიტუტს წინადადება მიეცა განახორციელოს ამ წინადადების საპროექტო სამუშაოები.

## იცით თქვენ?!

△ **როგორც** ცნობილია, პირველი ოლიმპიური ასპარეზობა მოეწყო ძველი ოლიმპიადების სამშობლოში — საბერძნეთში 1896 წელს. ამ ასპარეზობის გმირი იყო ბერძენი სპიროს ლუისი, რომელმაც მარათონულ რბოლაში გაიმარჯვა. როცა იგი გაოფლიანებული და დამტვერილი სტადიონზე შევარდა, მაჯები მორბენალს გამოეკიდნენ და მასთან ერთად მივიდნენ ფინიშთან. ორმა კრონპრინცმა ხელი სტაცა ლუისს და მეფის ლოჟისაკენ წაიყვანა. რომელიღაც ხეჟექალმა ბრილიანტებით შემკული საათი მოიხსნა და გამარჯვებულს აჩუქა. სასტუმროს მფლობელმა მისცა ბარათი რომ ლუისი 10 წლის განმავლობაში უფასოდ ეკვებათ, ასე ვთქვათ 3.652 სადილის ტალონი მისცა. სტარტის წინ ერთმა მდიდარმა მანდილოსანმა გამოაცხადა, რომ მზად არის მაშინვე გაჰყვეს ცოლად მარათონში გამარჯვებულს.

მაგრამ ყველაზე დიდ სიხარულს ლუისი ათენის მახლობლად მდებარე მშობლიურ სოფელში ეწია. მას ქალიშვილი უყვარდა, მაგრამ მდიდარმა მამამ გამოაგდო ღარიბი ფოსტალიონი. ოლიმპიადაზე გამარჯვების შემდეგ ლუისი ეროვნული გმირი გახდა და, რათქმა უნდა, საყვარელი ქალი გაატანეს.

△ **პლანეტა** ნეპტუნს, რომელიც 1846 წელს აღმოაჩინეს, ჯერ არ დაუმთავრებია თავისი აღმოჩენის შემდეგ პირველი შემოვლა მზის გარშემო. ეს მხოლოდ 2011 წელს მოხდება.

# ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

## მოკლედ

[illegible]

...ხარაძის ქუჩაზე აღიმართა ახალი სამსართულიანი შენობა, რომელიც განკუთვნილია ქალაქის მეექვსე საშუალო სკოლისათვის.

სკოლას აქვს ფიზიკის, ქიმიის კეთილმოწყობილი ლაბორატორიები, გეოგრაფიის, ისტორიის, ბიოლოგიის კაბინეტები.

## ფრანგი სენატორები თბილისში

10 ოქტომბერს ნაშუადღევს თბილისში ჩამოვიდა ფრანგ სენატორთა, კულ-[illegible]

...ტუბე, საქართველოს სამხედრო გზას.

(საქდესი).

### „საქართველოს ქალი" მკითხველებთან

ქობულეთი. (საკ. კორ.). ამას წინათ აქ მოეწყო ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრების შეხვედრა მკითხველებთან. შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა ქობულეთის სასოფლო-საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილემ ლ. რუხაძემ.

ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქტორმა თ. აბაშიძემ მადლობა გადაუხადა მკითხველებს გულთბილი შეხვედრისათვის.

### ტიბაანში სამარხი იპოვნეს

**სიღნაღი.** (საკ. კორ.). სოფელ ტიბაანში მცხოვრებ პართენ ბიძინაშვილის ეზოში მიწის გათხრისას ნახეს სამარხი, სადაც დასაფლავებული იყო ქალი. სამარხში აღმოჩნდა ორი პატარა დოქი, ორი ფიალა, ღვინის სასმისები და მინის მძივები. აღნიშნული ნივთები პიონერმა ი. ბიძინაშვილმა ტიბაანის სკოლაში მიიტანა, იქიდან კი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში გაგზავნეს.

*ჩვენი დედაქალაქის მომავალი*

## პირველი მონორელსური

საქართველოს „გიპროშახტის" კოლექტივი არსებობის ოციოდე წელიწადს ითვლის. ამ დროის განმავლობაში მუყაითმა კოლექტივმა ბევრი სასახელო საქმე გააკეთა ჩვენი რესპუბლიკის კეთილმოწყობისათვის.

მათი უშუალო მონაწილეობით დაპროექტდა და გაშენდა ტყიბულის, ტყვარჩელის, ახალციხის და სხვა ქალაქების ახალი უბნები, რომლებიც ყურადღებას იქცევენ თავიანთი ლამაზი ქუჩებით, საცხოვრებელი თუ კულტურულ დაწესებულებათა შენობების თანამედროვე არქიტექტურით.

ნიჭიერმა კოლექტივმა კიდევ ერთი, მეტად მნიშვნელოვანი და საჭირო საქმე გააკეთა მშრომელთა კულტურული მომსახურებისათვის. მათ უკვე შეადგინეს თბილის-რუსთავის მონორელსური გზის პროექტი.

მას მხოლოდ სამი სადგური ექნება — თბილისი (ბარათაშვილის ქუჩაზე), აეროპორტი და რუსთავი. საჰაერო მატარებელი მანძილს თბილისიდან რუსთავამდე, აეროპორტზე გავლით, 18 წუთში დაფარავს. იგი სამუშაო დროის განმავლობაში ერთი მიმართულებით 15 ათას მგზავრს გადაიყვანს. სამჯერ შემცირებს მგზავრობისათვის საჭირო დროს და სხვა ტრანსპორტთან შედარებით გაცილებით იაფი ეღირება.

მატარებელს ერთი კარგი თვისება ისიც ექნება, რომ დაუბრკოლებლად იმოძრავებს ყოველგვარ ამინდში, საათში 150-200 კილომეტრს განავითარებს. მისი მოძრაობის პრინციპი, კონსტრუქციულობა უზრუნველყოფს უსაფრთხო მგზავრობას.

თბილისიდან რუსთავამდე მონორელსური ხაზი აიგება რკინაბეტონის საყრდენებზე. მისი სიმაღლე რელიეფის მიხედვით 6-12 მეტრი იქნება. მოგრძო ფორმის ვაგონები, რომელთა სიგრძე 9,6, ხოლო სიგანე 2,64 მეტრია, 55 მგზავრს დაიტევს.

* * *

**სურათებზე:** (მარცხნივ) მონორელსური გზის თბილისის სადგურის პროექტი; (მარჯვნივ) ასე იმოძრავებს საჰაერო მატარებელი თბილისიდან რუსთავამდე.





*იშვიათი შემთხვევები*

## წერილი ჩაბარდა 116 წლის შემდეგ

ეს მოხდა 1915 წელს, პირველი მსოფლიო ომის წლებში. გერმანიის ჯარის ნაწილებმა ალყა შემოარტყეს ინგლისის ციხე-სიმაგრეს სინაის უდაბნოში. ინგლისელებს გამოელიათ წყალი და სურსათი. და აი ყველაზე კრიტიკულ მომენტში ყარაულმა გარნიზონის უფროსთან მოხუცებულობისაგან სახედაღარული, წელში მოხრილი შეიხი შეიყვანა.

— მე მაქვს წერილი კაპიტან კეიზლისათვის, — თქვა მან. — დიდი ხანი ველოდი, რომ იგი გადმეცა.

კაპიტანმა გამოართვა ბარათი. იგი თავისებურად იყო დაკეცილი, ხოლო ქაღალდი სიძველისაგან ხელში ტყდებოდა.

— ეს ბარათი მე ნაპოლეონმა გადმომცა, — აუხსნა მოხუცმა შეიხმა. — მან დამავალა ეს ბარათი მხოლოდ კეიზლისათვის გადამეცა და არავითარ შემთხვევაში სხვა ვინმესათვის. მე დიდი ხანი გელოდით თქვენ.

„ჩემო ძვირფასო კეიზლ, — ეწერა წერილში, — ამ ბრძანების მიღებისთანავე, რომელსაც ეგვიპტელი ჭაბუკის ხელით გიგზავნი, გათხარეთ სანოვაგისა და ტყვიაწამლის მარაგი, რომელიც სანგრის ქვეშ არის ჩაფლული. ამოიღეთ რაც დაგჭირდებათ, ხოლო დანარჩენი მარაგი გაანადგურეთ და დაიძარით ეგვიპტის საზღვრებისაკენ, თან იქონიეთ თანდართული რუკა, რომელზეც აღნიშნულია პუნქტები, სადაც არის წყალი. ნაპოლეონი".

— რახან ასეა, — თქვა კაპიტანმა, — ჩვენ შეგვიძლია თავი დავაღწიოთ ამ ციხე-სიმაგრეს. ჩემი პაპის მამა, რომელიც ბონაპარტის არმიაში მსახურობდა, ამ ადგილებში მოკლეს, ალბათ ეს წერილი მისთვის უნდა გადაეცათ.

პროდუქტები, ტყვია-წამალი და წყალი მართლაც იპოვნეს. გამხნევებულმა კაპიტანმა წერილში აღნიშნულ რჩევას დაუჯერა და ჯარისკაცები ძველ რუკაზე ნაჩვენები გზით წაიყვანა.

შეიხი 25 წლისა ყოფილა, როდესაც ნაპოლეონს მისთვის უბრძანებია წერილის წაღება კაპიტან კეიზლისათვის. როდესაც ახალგაზრდა ეგვიპტელი ციხე-სიმაგრეში მივიდა, იგი ცარიელი დახვდა. ასზე მეტი წლის შემდეგ სხვა კაპიტან კეიზლის გვარის გაგონებამ მას გაახსენა ნაპოლეონის ბრძანება, და 140 წლის შეიხმა შეასრულა ნაპოლეონის დავალება.

## 400 წელი ყინულში

ხამხრეთამერიკელი მთამსვლელი ერიკ გროში და მისი ამხანაგები სულ უფრო და უფრო მაღლა მიიწევდნენ ანდების მთებში. უკვე 6.300 მეტრ სიმაღლეზე, ელ-ტოროს თითქმის ზედ მწვერვალთან იყვნენ, რომ უცებ ღორღში დაინახეს... ადამიანის თავი. რა იყო ეს: უბედური შემთხვევა თუ მკვლელობა? მთამსვლელებმა ყინული ამოტეხეს, გაყინული მიწა ამოთხარეს და ამოიღეს ჭაბუკის გაყინული სხეული. ჭაბუკს გაცრეცილი ინდიური ტანისამოსი ეცვა და კეფა ჩამტვრეული ჰქონდა.

არგენტინელმა არქეოლოგმა დოქტორმა ჟუან შობინგერმა გამოიცნო მთამსვლელების მიერ ნაპოვნი ჭაბუკის დაღუპვის საიდუმლოება. ისტორიიდან ცნობილია, რომ 400 წლის წინათ ესპანელმა დამპყრობმა ფრანსისკო პისარომ პერუში დაიმონა ინკების მძლავრი სახელმწიფო, დაანგრია მათი დედაქალაქი კუსკო და ტყვედ წაიყვანა ინკების უმაღლესი მმართველი ატაუალპა. ვერაგმა ესპანელმა მმართველის სიცოცხლისათვის უმაგალითო გამოსასყიდი მოითხოვა: ოქროთი აევსო მზის ტაძარი.

ატაუალპას შიკრიკებმა პისაროს მოთხოვნა ტომის ბელადებს წაუღეს. ინკებს უნდოდათ ეხსნათ თავიანთი იმპერატორი და ოქროთი აავსეს ტაძარი. მაგრამ პისაროს სიხარბეს საზღვარი არა ჰქონდა. მან მოკლა ატაუალპა, კვლავ დაგზავნა შიკრიკები და ახალი ხარკი მოითხოვა. ინკების ბელადებმა გადაწყვიტეს დაემალათ თავიანთი განძი. საიმედოდ დამალეს ეს განძი, ხოლო ყველა მოწმე დახოცეს. დახოცეს იმპერატორის შიკრიკებიც. ინკების ჩვეულებისამებრ ისინი დაასაფლავეს ელ-ტოროს მწვერვალთან, „მზის გვერდით".

მთამსვლელების მიერ ელ-ტოროს ყინულში ნაპოვნი ჭაბუკი ატაუალპას შიკრიკი იყო, ამტკიცებს არქეოლოგი ჟუან შობინგერი.

* * *



**სურათზე:** მთამსვლელები ნაპოვნ გვამთან. ფოტო ჟურნალ „ფრაიე ველტიდან" (გდრ).

*მედიცინის პრობლემები*

## იმუნიტეტი კიბოს წინააღმდეგ

**სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნ. ნ. ბლოხინი კომენტარს უკეთებს საბჭოთა ონკოლოგების აღმოჩენას**

**ექსპერიმენტული** და კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტში საინტერესო ექსპერიმენტები განხორციელდა. აღმოჩენილია ახალი კანონზომიერება: ცხოველებს, რომლებსაც კიბოს ვირუსი ჰქონდათ აცრილი დაბადებისას, თუ რამდენიმე თვის შემდეგ განმეორებით უცრიდნენ იმავე ვირუსს, კიბოვანი სიმსივნე არ გაუჩნდებოდათ ხოლმე. ორგანიზმში იქმნებოდა კიბოს საწინააღმდეგო იმუნიტეტი ვირუსის მეორედ შეყვანისას.

კიბოს ვირუსისადმი იმუნიტეტის მოვლენა აღმოაჩინა გალინა დეიჩმანმა, ექსპერიმენტული და კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტის სიმსივნეთა წარმომშობი ვირუსების კაბინეტის გამგემ. აღმოჩენის გზა მოულოდნელი იყო.

მეცნიერებისათვის ცნობილია უკვე ბევრი სახის ვირუსები, რომლებიც ავთვისებიან სიმსივნეებს იწვევენ. გამოკვლევა წარმოებდა სვ-40 ვირუსზე, რომელსაც მეტწილად მაიმუნების თირკმლების უჯრედებში ვხვდებით. ახალდაბადებული ზაზუნებისა და ვირთაგვებისათვის ამ ვირუსის შეყვანისას ნახევარ წელიწადზე ნაკლები ხნის შემდეგ ცხოველთა დაახლოებით ერთ მესამედს სარკომა უჩნდებოდა.

მეცნიერები დაფიქრდნენ: ხომ არ შეიძლება კიბოს ვირუსის წინააღმდეგ ბრძოლა ისევე, როგორც ექიმები ებრძვიან ზოგიერთ სხვა ვირუსს — აცრით?

...კიბოს ვირუსი ცხოველის ორგანიზმში ჩვეულებრივ ხვდება სიცოცხლის პირველ დღეებში ან საშოსშიდა განვითარების პერიოდში. ამ პერიოდში ორგანიზმს ჯერ კიდევ არა აქვს იმუნიტეტის გამომუშავების უნარი. მიკროორგანიზმებისადმი წინააღმდეგობის გაწევის უნარი რამდენადმე უფრო გვიან უვითარდება. ამიტომ ვირუსი დაუბრკოლებლად „დაისადგურებს" ხოლმე ახალდაბადებულ ცხოველთა ქსოვილებში. რამდენიმე თვის შემდეგ ზოგიერთ მათგანს დაეწყება სიმსივნეთა გაჩენა. მაგრამ ხომ არ შეიძლება ამ საბედისწერო პროცესის წინასწარ აღკვეთა?

თურმე შეიძლება. მოეწყო ცდების სერიები. გამოირკვა, რომ თუ ცხოველთა ორგანიზმში სვ-40 ვირუსს განმეორებით შეიყვანთ, უკვე მას შემდეგ, რაც მათ განუვითარდათ იმუნიტეტის უნარი, მაგრამ ჯერ კიდევ არ დასწყებიათ სიმსივნეთა გაჩენა, ზაზუნები და ვირთაგვები გადარჩებიან ხოლმე.

ახლად შეყვანილი ვირუსისაგან რომ თავისუფლდებოდა, ორგანიზმი გაღვიძებულ დამცავ ძალებს იყენებდა „თავისი" შეთვისებული ვირუსის წინააღმდეგ.

ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტმა ალექსი ვერეტენიკოვმა სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, ექსპერიმენტული და კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს ნიკოლოზ ბლოხინს სთხოვა ემბნა აღმოჩენის მნიშვნელობის შესახებ, გამოეთქვა აზრი იმ მიზეზებზე, რომლებიც ადამიანის კიბოვან სიმსივნეებს იწვევენ, რამდენადაც ამჟამად მეცნიერებს შორის სხვადასხვა შეხედულებაა ამ პრობლემაზე.

— აღმოჩენის პრინციპული მნიშვნელობა, — თქვა ნიკოლოზ ბლოხინმა, — იმაში მდგომარეობს, რომ ნათელი გახდა: იმუნიტეტი ვირუსის წინააღმდეგ შეიძლება შეიქმნას, თუნდაც ეს ვირუსი ცხოველის ორგანიზმში დაბადებიდან არსებობდეს.

**მართალია** ჯერ ადრეა ლაპარაკი იმაზე, რომ აღმოჩენილი კანონზომიერება გამოყენებულ იქნას ონკოლოგიის პრაქტიკული საჭიროებებისათვის, კიბოთი დაავადებულთა მკურნალობისათვის, იმიტომ რომ ადამიანის ორგანიზმში სიმსივნეთა გამომწვევი ვირუსები ჯერ კიდევ გამოვლინებული არ არის, მაგრამ ასეთი შესაძლებლობა გამორიცხული როდია.

შედარებით ბევრი მონაცემი გვაქვს ცხოველების ავთვისებიან სიმსივნეთა გამომწვევ ვირუსებზე. დამტკიცებულია, რომ ვირუსული ბუნება აქვთ თაგვებისა და ვირთაგვების ლეიკოზებს, ფრინველთა მთელ რიგ სიმსივნეებს, თაგვების რძის ჯირკვლების კიბოს. მაგრამ, როგორც უკვე ვთქვი, ადამიანის ორგანიზმში კიბოს გამომწვევი ჯერ კიდევ არ არის აღმოჩენილი, და ყველაზე გავრცელებულია შემდეგი თვალსაზრისი: სიმსივნეთა მიზეზი მრავალია, რომელთა შორის ვირუსებთან ერთად მნიშვნელობა აქვს ქიმიურ და ფიზიკურ კანცეროგენულ აგენტებს.

რაც შეეხება ჩემს აზრს, რომლის დადასტურება, რა თქმა უნდა, ჯერჯერობით შეუძლებელია, მე ვფიქრობ, რომ ვირუსები ასრულებენ როლს ადამიანის სიმსივნეთა განვითარებაში. მე მგონია სიმართლეს ჰგავს, რომ არსებობენ ვირუსები, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ კიბო ადამიანში, რომ აგრეთვე ეს ვირუსები ბევრი ადამიანის ორგანიზმში არიან. აქედან სრულებითაც არ გამომდინარეობს, რომ ყველა ადამიანს აუცილებლად უნდა გაუჩნდეს ავთვისებიანი სიმსივნეები. უბრალო მაგალითი: მთელი კაცობრიობა ასი პროცენტით ინფიცირებულია ტუბერკულოზით. მაგრამ ტუბერკულოზით ხომ ყველა როდია დაავადებული. ავადმყოფობის გამომწვევი მიკროორგანიზმების აქტივიზაცია მხოლოდ ხელსაყრელ გარემოში ხდება.

კიბო? ეტყობა, კიბოს ვირუსის „აქტივიზაციისთვისაც" საჭიროა გარკვეული წინაპირობები. კიბოვან სიმსივნეთა განვითარებისათვის მნიშვნელობა აქვს იმ პირობებს, რომლებშიც ადამიანი იმყოფება სამუშაოზე და ყოფა-ცხოვრებაში, როლს ასრულებს გარემოს მავნე ზემოქმედება, ნერვული სისტემის მდგომარეობა, კვება. ამ წინაპირობებმა ჰორმონულ დარღვევებთან ერთად შეიძლება განსაზღვრონ ავთვისებიან სიმსივნეთა წარმოშობა.

ონკოლოგიაში „ვირუსული" მიმართულება ფრიად პერსპექტიულად მიმაჩნია. ვირუსებისაგან, როგორც ექსპერიმენტებმა ცხადყო, ყოველგვარი მოულოდნელობაა შესაძლებელი. მაგალითად, ზოგიერთი ტიპის ადენოვირუსები, რომლებიც ჩვეულებრივად ადამიანის ხორხშია და თითქოს უვნებელია მისთვის, ზაზუნების ფილტვის კიბოს იწვევენ. ეს ცდები გვაფიქრებინებს, რომ შესაბამის პირობებში ადენოვირუსებს შეუძლიათ ადამიანის ორგანიზმშიც გამოიწვიონ სიმსივნეები. გარდა ამისა, ცნობილი გახდა, რომ სხვადასხვა სახეობის ვირუსებს შორის მკაფიო საზღვარი არ არსებობს. ექსპერიმენტული და კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელმა ნიკოლოზ მაზურენკომ მიიღო ყვავილის ჩვეულებრივი ვირუსის გადაქცევა ლეიკოზების — სისხლის კიბოს გამომწვევ ვირუსად.

**შეიძლება** ვივარაუდოთ, რომ კიბოთი დაავადების ამთვისებლობა ცალკეულ ადამიანებს და მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებსაც კი სხვადასხვა აქვთ. ცნობილია დიდი განსხვავებანი სხვადასხვა ფორმის კიბოს გავრცელებაში სხვადასხვა ქვეყნებში. ეს განსხვავებანი დაკავშირებულია ცხოვრების პირობებთან, კვების თავისებურებებთან, ჩვეულებებთან და ჩვევებთან.. ადამიანის კიბოს წარმოშობაში ვირუსების როლის შესწავლა იმედს გვაძლევს, რომ სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ექნება იმუნოლოგიის დარგში მუშაობას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კიბოს პროფილაქტიკის სპეციფიკურ საშუალებათა შექმნა.

— ყველაფერი, რაც თანამედროვე ონკოლოგიას მოეპოვება, მიღებულია რაღაც ორ ათეულ წელიწადში, — თქვა დასასრულ ნიკოლოზ ბლოხინმა. — მე დარწმუნებული ვარ, რომ მთელი მსოფლიოს ონკოლოგთა ენერგიული ღონისძიებანი კიბოზე გამარჯვებით დამთავრდება.

## მოქალაქენო!

**მიმდინარე** წლის 25 ოქტომბერს ქ. ზესტაფონში **შედგება საქართველოს სსრ 1964 წლის ფულისა და ნივთების ლატარიის (მეათე გამოშვება) მოგებათა ტირაჟი.**

ტირაჟში გათამაშდება 172.500 მანეთის 103.500 ფულისა და ნივთის მოგება. ნივთმოგებათა რიცხვშია: ავტომანქანები **„ვოლგა", „მოსკვიჩი", „ზაპოროჟეცი"**, საგზურები საბჭოთა კავშირის ქალაქებში მოგზაურობისათვის, პიანინოები, მაცივრები და ბევრი სხვა ფასიანი ნივთი და ფულადი მოგება.

**შეიძინეთ ლატარიის ბილეთები ტირაჟში მონაწილეობის მისაღებად.**

**საქართველოს სსრ სახშრომშემნახველო სალაროების და სახკრედიტის სამმართველო**

# რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

### თეატრები
**11 ოქტომბერი**

**ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური** — კუბის ეროვნული ბალეტი (საღამოს), **რუსთაველის სახელობის** — ჰინჩრაქა (დღისით, მე-4 აბონ. მე-7 წარმოდგენა), წყალდიდობა (საღამოს, მე-13 აბონ. მე-8 წარმოდგენა), **რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი** — ბრალდება (დღისით, მე-5 აბონ. მე-7 წარმოდგენა), ღვთაებრივი კომედია (საღამოს, აბონ. გარეშე), **მარჯანიშვილის სახელობის** — უცნობი (დღისით, 25-ე აბონ. მე-9 წარმოდგენა), ჯარისკაცის ქვრივი (საღამოს, მე-20 აბონ. მე-9 წარმოდგენა), **გრიბოედოვის სახელობის** — მშვენიერი დღე (დღისით), ორნი საქანელაზე (საღამოს, აბონ. გარეშე), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — სათაგური (54-ე აბონ. დღის 11 ს. და 30 წ.), მეთორმეტე ღამე (1-ლი აბონ. საღ. 6 ს.).

### ტელევიზია
**12 ოქტომბერი**

18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — თქვენთვის, პატარებო! „ცეროდენას ეკრანი", 18.25 — სკოლების დასახმარებლად „მზე ენერგიის მთავარი წყაროა", 18.45 — კინონარკვევი „ანტონინა კრასილკოვას ყოველი წუთი", 18.55 — გადაცემა ციკლიდან — „დიდი თეატრის სოლისტები" — ივანე პეტროვი, 19.25 — უკრაინის ლიტერატურის დეკადის დასკვნითი საღამოს ტრანსლაცია რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრიდან. ტრანსლაციის შემდეგ — ოპერა „კარმენი" (საბჭოთა კავშირის დიდი თეატრის სპექტაკლი მარიო დელ მონაკოს მონაწილეობით) და ახალი ამბები.

**18 ოქტომბერი**

12.00 — კინონარკვევი, 12.40 — მხატვრული ფილმი „ალმანახი „ახალგაზრდობა", 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — თქვენთვის, პატარებო! — „ცეროდენას ეკრანი", 18.25 — მოსწავლეთათვის — მოკლემეტრაჟიანი ფილმი „მეტოქეები", 18.55 — გადაცემა — „სტუმრად საქართველოში", 19.10 — კინონარკვევი „ევგენი ურეკი", 19.50 — გადაცემა ციკლიდან — „ახალი წიგნები", 20.15 — კინონარკვევი, 20.25 — ბოშური მელოდიები, 20.55 — მხატვრული ფილმი „ალმანახი „ახალგაზრდობა", 22.30 — ახალი ამბები.

## დისერტაციის დაცვა

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

(ი. ჭავჭავაძის პროსპ. № 1)

18 ნოემბერს, დღის 2 საათზე, № 107 აუდიტორიაში ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **იოსებ პავლეს-ძე ლორთქიფანიძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე **„გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა ტექსტოლოგიური საკითხები".**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

რედაქტორი

**დ. მჭედლიშვილი.**

„კომუნისტი" | თბილისი, ლენინის 14. კომუტატორი: 8-15-00-დან 09-მდე. რედაქტორის მოადგილეების — 9 93 08, 8-08-67, პ/მგ მდივნის — 9 72 50 სამდივნოსი — 8-46-10, განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61, პროპაგანდის — 8-22-89 მრეწველობის — 8-20-43, სოფლის მეურნეობის — 8-82-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 8-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 8-85-01, ინფორმაციის — 8-16 90, უცხოეთის — დამ. 5-22, წერილების — 9-78-24, ილუსტრაციის — დამ. 5-76, განცხადებების — 9-94-42.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 08353

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.